ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## მოსამართლე ბუგიანიშვილმა გიორგი რურუას 4 წელი მიუსაჯა

რურუა განაჩენს ღიმილით შეხვდა



გვ.5

პარასკევი, 31 ივლისი, 2020 | №162 (8426) | ფასი: 60 თეთრი

# ხატია დეკანოიძე: „ჩვენს პარტიულ სიაზე ინფორმაცია ყალბია“



გვ.2 „საპრეზიდენტო არჩევნების დროს გიორგი ვაშაძე ტექნიკური ფიგურა იყო“

## „ვინ ჰკითხავს „ევროპულ საქართველოს“, რას იზამს ნაციონალური მოძრაობა!“



გვ.3



## მამუკა გამყრელიძე: „გიორგი ვაშაძე ეგოისტურად მოიქცა“

## დავით ბაქრაძე: „თბილისს გარეთ ყველგან საკუთარ კანდიდატებს დავაყენებთ“



გვ.2

## 1991 წლის მიწისძვრის შემდეგ რაჭას ასეთი რამ არ ახსოვს

სტიქიით მიყენებული ზარალი 50 მილიონს აღწევს



გვ.2



გვ.3

## „ოპოზიციამ ბევრი ტაქტიკური შეცდომა დაუშვა“



გვ.4

## ლევან ჩაჩუა: „ბიძინა ივანიშვილს არჩევნების გადავადება აწყობს“

„ამ არჩევნებისთვის „ოცნება“ გამომწვევად ოდიოზურ კანდიდატურებს ასახელებს“

## „საზოგადოებაში შექმნეს განცდა, რომ კრიმინალი ყვავის“



გვ.4

ამირან სალუქვაძე: „ყველა მხარეს სჭირდება ინფორმაცია. მეც მჭირდება ინფორმაცია ანალიზისთვის, მაგრამ, როცა ერთი მხარისგან მუდმივად სიცრუეს ვისმენ, მიუღებელია და ყოველ სიტყვას ეჭვით ვუყურებ“

## შსს-ს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტმა ტაქტიკური სწავლება ჩაატარა



გვ.5

ISSN 1987-9385

5 სუსმა თბილისის მერიის თანამშრომელი დააკავა

6 ტრამპმა აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების გადადება მოითხოვა

5 ირაკლი ღლონტს ლერი სულაბერიძის მკვლელობის მცდელობისთვის ბრალი წაუყენეს

6 ბორის ჯონსონი: „თავი არ უნდა მოვიტყუოთ, რომ პანდემია დასრულდა“

# ხათია დეკანოიძე: „ჩვენს პარტიულ სიაზე ინფორმაცია ყალბია“

## „საპრეზიდენტო არჩევნების დროს გიორგი ვაშაძე ტექნიკური ფიგურა იყო“

იაგო ნაცვლიშვილი

**არის თუ არა სასამართლოს მხრიდან გიორგი რურუასთვის პატიმრობის შეფარდება პოლიტიკური გადაწყვეტილება, ელოდებიან თუ არა პოლიტიკური მართლმსაჯულების გაძლიერებას, რას უნდა ველოდოთ დასავლელი პარტნიორებისგან, ეთანხმება თუ არა თავისი თანაპარტიელების აზრს, რომ გიორგი ვაშაძე ვანო ჩხარტიშვილისგან ფინანსდება? — ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ხატია დეკანოიძე საუბრობს.**



***— გიორგი რურუას სასამართლომ პატიმრობა მიუსაჯა. მიიჩნევთ თუ არა ამას პოლიტიკურ გადაწყვეტილებად?***

— ეს, რა თქმა უნდა, პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, რომელიც მიიღო ბიძინა ივანიშვილის მონურმა სასამართლომ. მართლმსაჯულების არც ერთი რგოლი აღარ მუშაობს და ყველაფერი ერთ კაცს ემორჩილება. ამიტომ ზოგადად „ქართული ოცნებისა“ და პირადად ბიძინა ივანიშვილისთვის ძალიან მძიმე შედეგები იქნება. ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები პირდაპირ ამბობენ, რომ საარჩევნო გარემო უნდა იყოს თავისუფალი და მართლმსაჯულება არ უნდა იყოს გამოყენებული პოლიტიკურ იარაღად. ამაზე განსაკუთრებით ხაზგასმა იყო პომპეოსა და გახარიას საუბრის დროს. სამწუხაროა, რომ საქართველო 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში შედის ამ ფაზაში და პოლიტპატიმარი გიორგი რურუა შედის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

***— რა რეაგირება გექნებათ თქვენ, როგორც მთავარი ოპოზიციური ძალის წარმომადგენელს?***

— რეაგირება ჩვენ უკვე დიდი ხანია გვაქვს და მათ შორის მუშაობა ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან. მათ ძალიან კარგად იციან, რა მდგომარეობაც არის საქართველოში, მათ შორის წინასაარჩევნო ვითარებაში, მაგრამ ჩვენ ვმუშაობთ, რომ ეს კიდევ უფრო მკაფიოდ გავაგებინოთ მათ.

ამიტომ მე დარწმუნებული ვარ ივანიშვილის დამარცხებაში და ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ საქართველოში არასდროს აღარ იყვნენ პოლიტპატიმრები და მათ შორის კანონის უზენაესობა დამყარდეს ერთხელ და სამუდამოდ. მართლმსაჯულების ყველა რგოლმა უნდა იმუშაოს ხალხისთვის და საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ.

***— როდესაც ამბობთ, რომ ივანიშვილის რეჟიმს მძიმე შედეგები ექნება, იმას გულისხმობთ, რომ არჩევნებში დამარცხდება?***

— მათ შორის არჩევნებშიც დამარცხდება და თუ გაბედავს, კიდევ უფრო გაააქტიუროს პოლიტიკური მართლმსაჯულების ბერკეტები, იქნება ძალიან მძიმე შედეგები. არაერთხელ გვისაუბრია ამაზე, მათ შორის თქვენთან ინტერვიუებშიც, რომ ამაზე იქნება სანქციები. ამიტომ მთელი დასავლეთი აფრთხილებს „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ ისტებლიშმენტსა და ივანიშვილს. უკვე პირდაპირ უწოდებენ რუსული გავლენების ადამიანსა და ოლიგარქს. ამიტომ ეს იქნება მისთვის მძიმე მოცემულობა.

***— ფიქრობთ, რომ შესაძლოა, კიდევ უფრო გაააქტიუროს პოლიტიკური მართლმსაჯულება?***

— არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება იმ ვითარებაში, როდესაც საქართველო ნელ-ნელა ღრმა დიქტატურის კრიზისშია, იმიტომ, რომ როდესაც მართლმსაჯულება ადამიანების წინააღმდეგ არის მიმართული, ეს უკვე დიქტატორულ რეჟიმს ნიშნავს. შესაბამისად, გამორიცხვა არ შეიძლება, მაგრამ, რაც არ უნდა გადაწყვიტოს, რომ აქტიურად აამოქმედოს თავისი რეპრესიული მექანიზმი, მით უფრო დადგება ის შედეგი, რომელიც მისთვისვე იქნება ცუდი.

***— ახლა, როდესაც წინასაარჩევნო პერიოდია, რამდენად აძლევთ ხელს, რომ ახლა აამოქმედონ პოლიტიკური მართლმსაჯულება?***

— ეგენი ხომ რაციონალურად არ მსჯელობენ. ეგენი მსჯელობენ ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებაში დარჩენის თვალსაზრისით. ამიტომ, თუ ეს მოხდება, კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდება და მით უფრო მძიმე შედეგები დადგება.

***— საერთაშორისო პარტნიორებისგან ელოდებით ისეთივე მწვავე განცხადებებს, როგორიც წინა შემთხვევებში იყო?***

— ნამდვილად. 29 ივლისსაც გავრცელდა ძალიან მძიმე წერილი, სადაც პირდაპირ უწოდებენ ოლიგარქსა და რუსული გავლენების მატარებელს საქართველოში და გაცილებით უფრო მწვავე შეფასებები იქნება.

***— პომპეოს გზავნილები ახსენეთ და როგორ თარგმნეთ თქვენ პოლიტიკურ ენაზე?***

— პირველი, სამართლიანი არჩევნები არის უპირობო მოთხოვნა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორებისგან. ასევე უპირობოა კანონის უზენაესობისა და მართლმსაჯულების განმტკიცება, აგრეთვე კორუფციის დამარცხება. ამიტომ პომპეოს გზავნილი იყო მხოლოდ ერთი — ივანიშვილმა არ გაბედოს არჩევნებში აგრესიული მექანიზმების გამოყენება და ხელისუფლება გადააბაროს ხალხის მიერ არჩეულ ძალებს. ძალიან მნიშვნელოვანი გზავნილები იყო მისი მხრიდან.

***— როცა არჩევნებზე ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია პანდემიასთან დაკავშირებული საკითხები. გვესმის, რომ მატულობს შემთხვევები და ეს ხომ არ გიჩენთ ეჭვებს, რომ ხელოვნურად ხდება ფონის დამძიმება, რათა მინიმუმამდე იყოს დამკვირვებელთა ჩართულობა არჩევნებში?***

— არაფრის გამორიცხვა არ შემიძლია, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ხელისუფლებაში გვყავს ჩრდილოვანი მმართველი, მაგრამ, თუ ხელისუფლება გადაწყვეტს, დაამძიმოს ეს საკითხები, მაშინ ჩნდება კითხვა — რას უშვრებიან ადამიანებს, რომლებიც უკიდურეს გაჭირვებაში არიან? ამიტომ ადამიანებს მაქსიმალურად უნდა ვესაუბროთ, ჩვენი გზავნილები გვქონდეს და ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ივანიშვილი ჩამოშორდეს ხელისუფლებას.

***— ექიმები წავლენ ამაზე იმ ფონზე, როცა ამბობენ, რომ მეორე ტალღა აღარ იქნება ისეთი მძიმე, როგორიც პირველი?***

— სიმართლე გითხრათ, ექიმების, რომლებიც არიან ხელისუფლების ფარად, ბოლომდე არ მჯერა, მაგრამ, მე მგონი, მათ მოუწევთ ძალიან დიდი და სერიოზული კონტექსტის გათვალისწინება ამ პროცესში.

***— გაჟღერდა ინფორმაცია, რომ პაატა ბურჭულაძე იქნება პარტიული სიის მეორე ნომერი. მიდასტურებთ?***

— მე არ ვიცი, საიდან გავრცელდა ეს ინფორმაცია. პატივცემული ადამიანია პაატა ბურჭულაძე, მაგრამ სიასაც და მაჟორიტარული კანდიდატების სრულ შემადგენლობასაც პარტია დაასახელებს უახლოეს პერიოდში. ამწუთას ვერაფერს დაგიდასტურებთ.

***— არც უარყოფთ?***

— დადასტურება არ შემიძლია, რაც იმას ნიშნავს, რომ ამწუთას არ ვიცი, როგორი სიტუაცია იქნება.

***— პარტიაში აქტიურად მსჯელობთ სიებზე, პროგრამაზე და ა.შ?***

— რა თქმა უნდა. უახლოეს პერიოდში გვექნება პროგრამა. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია პროგრამა და სერიოზული ბრძოლა. რაც შეეხება ადგილებს, მაჟორიტარებსა და ა.შ. ეს არ არის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი. გასაგებია, რომ არსებობს საჯარო ინტერესი, მაგრამ მთავარია ჩვენი კონტაქტი ამომრჩეველთან.

***— კიდევ არის ინფორმაცია, რომ ათეულს მიღმა დარჩნენ ისეთი ლიდერები, როგორებიც არიან სალომე სამადაშვილი, თინა ბოკუჩავა, გია ბარამიძე. ამაზე რას იტყვით?***

— არ ვიცი, თქვენ რა ინფორმაციას ეყრდნობით, მაგრამ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ვრცელდება ჩვენს პარტიულ სიაზე, არ არის პარტიის პოზიცია. ეს ინფორმაცია, რომელიც სხვადასხვა სააგენტოზე დაიდო, არის ყალბი მანამ, სანამ პარტიის პოზიცია არ იქნება ნაცმოძრაობის სიასთან და მაჟორიტარულ ოლქებთან დაკავშირებით.

***— პირადად თქვენ იქნებით თუ არა ათეულში?***

— ჩემს თავზეც შემიძლია, იგივე გითხრათ, რომ პარტიის შეჯერებული პოზიცია იქნება მნიშვნელოვანი.

***— ეთანხმებით თქვენი პარტიის ზოგიერთი წარმომადგენლის განცხადებებს იმაზე, რომ გიორგი ვაშაძე ფინანსდება ვანო ჩხარტიშვილისგან?***

— ვაშაძესთან დაკავშირებით სტრატეგიაში გვქონდა შეუთანხმებლობა, მათ შორის სიაში მისი მხრიდან მოთხოვნილ ადგილებთან დაკავშირებით, პრემიერმინისტრობის კანდიდატთან დაკავშირებით და, მერწმუნეთ, დაფინანსებაზე დასმულ ყველა კითხვას აქვს არსებობის ლეგიტიმური უფლება.

***— როდესაც ეს კითხვა მაშინ ისმება, როცა ის კოალიციიდან გადის, ეს რამდენად სწორად მიგაჩნიათ?***

— მე გეტყვით, რომ ეს კითხვა ყოველთვის შეიძლება დაისვას. თუ შტაბზე მესაუბრებით, როდესაც ის შტაბის ხელმძღვანელი იყო, ჯერ ერთი, გიორგი ვაშაძეს არ დაუფინანსებია ჩვენი პარტია და მათ შორის არც საპრეზიდენტო კამპანია. შტაბის უფროსობა არის ტექნიკური პოზიცია.

***— ტექნიკური ფიგურა რას ნიშნავს? როგორც შტაბის ხელმძღვანელი, ყველაზე აქტიურად ჩანდა საპრეზიდენტო კანდიდატის შემდეგ.***

— ეგ ხომ არ ნიშნავდა იმას, რომ ვინმე აფინანსებდა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას! მეტს ვერაფერს გეტყვით, რაც არ უნდა ჩამიბრუნოთ სიტყვები. მეტი სათქმელი არაფერი მაქვს.

# დავით ბაქრაძე: „თბილისს გარეთ ყველგან საკუთარ კანდიდატებს დავაყენებთ“



„ევროპული საქართველოს“ ლიდერ დავით ბაქრაძის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიციური პარტიები საერთო მაჟორიტარობის კანდიდატებზე საბოლოოდ ვერ შეთანხმდებიან, „ევროპული საქართველო“ ყველგან თბილისს გარეთ, საკუთარ კანდიდატებს დააყენებს.

— ბოლო რვა თვეა, ოპოზიცია არის ერთიანი. მაჟორიტარები არის ხელისუფლების რესურსი, რომ რაც შეიძლება მეტი ხმა წამოიღოს მაჟორიტარებისგან. ხელისუფლებამ იცის, ჯამურად პროპორციულ ნაწილს ის ოპოზიციასთან წააგებს. რა თქმა უნდა, აბსოლუტური პრიორიტეტი, ის, რომ პროპორციული უნდა მოვიგოთ, ამაზე კითხვის ნიშანი არ არსებობს, მაგრამ, მაჟორიტარები თუ არ მოვიგეთ, თუ ხელისუფლებას მაჟორიტარები დავუტოვეთ „მაშველ რგოლად“, ამ „მაშველმა რგოლმა“, შეიძლება, წყალში ჩაგვიყაროს პროპორციულის ნაწილში წვალება.

ყველგან უნდა მოვიგოთ, სადაც შესაძლებელია. მე, პირადად, ამ საკითხზე მიხეილ სააკაშვილთან არ მქონია კომუნიკაცია, თუმცა, რამდენადაც ვიცი, ამ თემაზე იყო საუბარი. ის ამ თემის საქმის კურსშია და ჩართული იყო განხილვაში, თუმცა მე ეს კომუნიკაცია არ მქონია, — განაცხადა ბაქრაძემ.

ამასთან, როგორც ბაქრაძე აცხადებს, ჯერ ოპოზიციასთან საერთო მაჟორიტარ კანდიდატებთან დაკავშირებით მოლაპარაკება დახურული არ არის.

— ჯერ მე ამ პროცესს არ დავხურავდი, იმიტომ, რომ საუბარი ოპოზიციურ პარტიებთან მიდის. ჯერ არ ვიტყოდი, რომ ოპოზიციური შეთანხმება ვერ შედგება, თუმცა, ეს შეთანხმება რომც არ შედგეს, ჩვენ გვაქვს საფუძველი თბილისში ერთიანობის. „ევროპული საქართველო“ ყველგან თბილისს გარეთ დააყენებს კანდიდატებს. ჩვენ თბილისში შეთანხმებას პატივს ვცემთ და ბოლომდე დავიცავთ, — განაცხადა დავით ბაქრაძემ.

# 1991 წლის მიწისძვრის შემდეგ რაჭას ასეთი რამ არ ახსოვს

## სტიქიით მიყენებული ზარალი 50 მილიონს აღწევს

50 მილიონი ლარის ზარალი რაჭაში — აქედან მარტო 30 მილიონი რეგიონის გზების შეკეთებას დასჭირდება. ცენტრალური მაგისტრალი ფაქტობრივად განადგურებულია.



კიდევ უფრო მძიმეა მდგომარეობა რაჭის მაღალმთიანეთში — სოფლებში, რომლებთანაც დაკავშირება უკვე მეორე დღეა, შეუძლებელია. გრძელდება იმ ადამიანების გამოყვანა, რომლებმაც სოფლების დატოვება წყლის, ელექტროენერგიისა და გზის არარსებობის გამო ისურვეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენებმა დღის განმავლობაში 10-ზე მეტი რეისი შეასრულეს.

უხვი ნალექის შედეგად ადიდებულმა რიონმა და მისმა შენაკადებმა სოფელ ნაკიეთში ერთ-ერთი ქარხანაც დააზარალა. მოვარდნილი წყლის ნაკადი იმდენად ძლიერი იყო, რომ მძიმე ტექნიკა გაანადგურა.

30 ივლისს რამდენიმე შეხვედრა გაიმართა სტიქიის სალიკვიდაციო საგანგებო შტაბში. მიმდინარე სამუშაო მდინარე რიონის კალაპოტის შეცვლას ეხება. ეს ერთ-ერთი პრიორიტეტია, რომელიც სპეციალისტებს გზებისა და ხიდების შეკეთების დროულ საშუალებას მისცემს.

30 ივლისს სტიქიის ზონას მთავრობის მეთაური პირადად ეწვია. გიორგი გახარია, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრთან ერთად, რაჭის რამდენიმე სოფელში იმყოფებოდა, მათ შორის — ღარში, სადაც ადიდებულმა რიონმა გზა ჩამოშალა და ონის წყალმომარაგების ცენტრალური სისტემა დააზიანა. ქალაქისთვის წყლის მიწოდება ამ ეტაპზე ალტერნატიული გზებით ხდება. იწმინდება მდინარის კალაპოტი, რის შემდეგაც წყლის სისტემისა და გზის აღდგენითი სამუშაოები დაიწყება.

ზარალის ზუსტი ოდენობა უცნობია, თუმცა, პრემიერის თქმით, თანხამ, შესაძლოა, 50 მილიონი შეადგინოს. ამასთან, თითქმის ერთი თვე სტიქიის ზონის 4 სოფლის დამაკავშირებელი გზისა და ხიდების მშენებლობა-რეაბილიტაციას დასჭირდება. მთავრობის მეთაური ამბობს, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ყურადღების მიღმა არ დარჩება კურორტი შოვი. გახარია საოჯახო ტიპის სასტუმროების დახმარების პირობას დებს.

სოფლებთან, რომლებიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში გარე სამყაროს იქნებიან მოწყვეტილი, ე.წ. „საბაგირო მაგისტრალები“ მოეწყობა. ამ გზით ჩარჩენილი მოსახლეობისთვის პირველადი მოხმარების საგნებისა და პროდუქტების მიწოდება გახდება შესაძლებელი.

სპეციალისტების შეფასებით, 1991 წლის დამანგრეველი მიწისძვრის შემდეგ რაჭას ამ მასშტაბის სტიქია არ ახსოვს.

ამაზე დაზარალებულ რეგიონში არსებული სურათი მეტყველებს.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი — სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური — კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური — 599-532-690
დირექტორი — ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური — მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ვინ ჰკითხავს „ევროპულ საქართველოს“, რას იზამს ნაციონალური მოძრაობა!“

## მამუკა გამყრელიძე: „გიორგი ვაშაძე ეგოისტურად მოიქცა“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს გაერთიანების „ძალა ერთობაშია“ ერთ-ერთი ლიდერი, ყოფილი დიპლომატი მამუკა გამყრელიძე პასუხობს.**

***– ბატონო მამუკა, ორმა სუბიექტმა დატოვა „ძალა ერთობაშია“. ნაციონალები აცხადებენ, რომ ვაშაძე ზედმეტმა ამბიციებმა შეაწუხა. ასეა?***

– გაერთიანების „ძალა ერთობაშია“ პირველი შემქმნელი არის გიორგი ვაშაძე. ჩემთვის ძალიან სამწუხარო იყო ის, რაც მოხდა.

***– რატომ წავიდა, მართლა ზედმეტმა ამბიციებმა შეაწუხა?***

– გიორგი თავის დროზე წავიდა ნაციონალური მოძრაობიდანაც. წავიდა იმიტომ, რომ ადგილი ვერ იპოვა. მან ჩათვალა, რომ ისე ვერ დააფასეს, როგორც საჭირო იყო. ბევრჯერ დაბლოკეს და ასე შემდეგ. მოკლედ, ამ კაცს სივრცე სჭირდება, მეტი ჰაერი, მეტი ფართობი, რომ გაიშალოს.

***– ამის საშუალებს არ აძლევდა ნაციონალური მოძრაობა?***

– ნაციონალური მოძრაობა არის ძალიან ძლიერი ორგანიზაცია, რომელიც თავისთავად შეუშლის ხელს ყველას, ვისაც გაძლიერება მოუნდება. ვინც მათ შიგნით არ არის, ყველას აღიქვამენ კონკურენტად. თუნდაც ერთად იყვნენ, მაინც ყოველთვის არის ხოლმე შიდა კონკურენცია.

როგორც ჩანს, გიორგის უფრო დიდი ამბიციები ჰქონდა, ვიდრე ამის დაკმაყოფილება შეეძლო ამ გაერთიანებასა და ნაციონალურ მოძრაობას. შესაბამისად, მივიღეთ ის, რაც მივიღეთ.

***– უნდოდა თუ არა ვაშაძეს, ყოფილიყო პრემიერობის კანდიდატი? ესეც ხომ არ იყო მისი განაწყენების მიზეზი?***

– ის, რაც თაკო ჩარკვიანმა გააჟღერა, ნამდვილად არ ყოფილა საიდუმლო და ისეთი რამ, რაზეც არ ულაპარაკიათ ადრე. სულ მუსირებდა ეს აზრი და ყველამ ვიცოდით, რომ გიორგის ჰქონდა ასეთი ამბიცია. გვისაუბრია ამასთან დაკავშირებით.



***– ნაციონალური მოძრაობა წავიდა წინააღმდეგი. ასევე მოვისმინეთ „ევროპული საქართველოს“ უარყოფითი განცხადებებიც ვაშაძესთან მიმართებით.***

– „ევროპული საქართველო“ საერთოდ რა შუაშია, მათ ვინ ჰკითხავს, ჩვენს გაერთიანებაში ვის დავასახელებთ პრემიერობის კანდიდატად! „ევროპულმა საქართველომ“ საკუთარ თავსა და საკუთარ გაერთიანებას მიხედოს, რომელიც აქვს შალვა შავგულიძესთან ერთად!

ზედმეტებს ზუსტად „ევროპული საქართველო“ ითხოვს, როდესაც ის მოითხოვს რაღაც თავისი კვოტების დაწესებას. ერთხელ გავატარეთ ყველამ ეს ამბავი და მოხდა ის, რაც მოხდა! თბილისში მე ამის წინააღმდეგი ვიყავი. ჩემთან ეს შეთანხმებული არ ყოფილა. იმასაც ვიტყვი, რომ ეს იყო ნაციონალური მოძრაობის ერთპიროვნული გადაწყვეტილება, მაქსიმალურად დაეთმო თავისი პოზიციები. რეგიონებს რაც შეეხება, აქ სხვანაირად იქნება საქმე!

***– ნაციონალური მოძრაობა აცხადებს, რომ რეგიონებში ყველგან დააყენებს თავის კანდიდატურებს, თუმცა „ევროპული საქართველო“ ამასაც არ იზიარებს და აქაც უპირისპირდება.***

– არ იზიარებს და სულ კარგად იყვნენ! ყველას თავისი საქმე აქვს. არ მოგწონთ და კარგად იყავით! ვინ ჰკითხავს სხვა პარტიის წარმომადგენელს, რა ხდება ჩემს გაერთიანებაში! ეს ცოტა არაკორექტული, სრულიად გაუგებარი და არაჯანსაღი მიდგომებია.

***– ფაქტია, რომ „ევროპული საქართველო“ ყველაფერში ერევა.***

– ეტყობა, მათ ჩათვალეს, რომ ყველაზე გონიერები არიან ამქვეყნად და ასე ნამდვილად არ არის. როდესაც გაგდის, მერე უფრო მეტს ითხოვ. პირველ ჯერზე გაუვიდათ და ახლა კიდევ უნდათ, მაგრამ აღარ გაუვათ.

***– ძალიან ცუდი საყურებელია ეს ყველაფერი. 8 ოლქიდან 6-ზე ძლივს შეთანხმდით. 2 ოლქზე ისევ დაპირისპირებაა.***

– მე კიდევ მეტს გეტყვით, ცუდი საყურებელი კი არა, სამარცხვინო სიტუაცია ჩამოყალიბდა. 8 კანდიდატის დაყენება ვერ მოახერხოს საქართველოს ოპოზიციამ?! ახლა მითხარით, რაღა აზრი აქვს იმ 22-ის შეთანხმებას?! სისულელე იქნება, უბრალოდ. 8 კანდიდატზე ვერ მოხდა შეთანხმება. ის კი არა, 2 ადგილი სრულიად თავისუფალი დარჩა და ყველამ უარი განაცხადა, არ გვინდაო. სად არის აქ ლოგიკა?!

***– რატომ ვერ მოხერხდა ისეთი კანდიდატის შერჩევა ამ ორ ოლქში, რომელსაც მხარს დაუჭერდით?***

– თუ გაინტერესებთ, საერთოდ არც ყოფილა არანაირი განხილვა!

***– რატომ? არ შედის თბილისში ეს ორი ოლქი?***

– არ ვიცი, ვერ გეტყვით. როგორც გავიგე, ეს ყოფილა ნათქვამი. ერთს გეტყვით, მე ამ კულუარულ გარიგებებში, ხაზს ვუსვამ, კულუარულ გარიგებებში, მონაწილეობა არ მიმიღია. არც მე და არც ჩემს მეგობრებს.

მე და ძალიან ბევრმა პარტიამ არ ვიცოდით, შიგნით რა ხდებოდა. ჩვენ დავეთანხმეთ იმას, რაზეც შეთანხმდნენ. გამოაცხადეს და პოსტფაქტუმ გავიგეთ.

***– აბა, ეს რანაირი ერთობაა?***

– კარგი, რაც მოხდა, მოხდა და ეს არ არის ტრაგედია, 8 ადგილია და ასეთი სიტუაციაა, თუმცა ჩვენ ამაში მონაწილეობა არ მიგვიღია. მერე ყური მოვკარი, ითქვა, რომ ერთი ადგილი



ალეკო ელისაშვილისთვის უნდა დაეთმოთ, ერთი ადგილი ლელოსთვის, თუმცა ვნახეთ, რომ ორივემ უარი განაცხადა და დამოუკიდებლად გადიან. რატომ განაცხადეს უარი, ესეც საერთოდ გაუგებარია.

მე ისიც არ მესმის, ზურაბ ჯაფარიძეს რატომ არ შესთავაზეს საბურთალო. მან მშვენიერი შედეგები აჩვენა წინა არჩევნებზე. თაკო ჩარკვიანმა განაცხადა, მე ვიყრი კენჭსო და ვერც ის გავიგე, რატომ არ დაუჭირეს მხარი. ეს სრულიად გაუგებარია ჩემთვის. ამიტომაც არჩია თაკომ გიორგისთან ერთად ცალკე გასვლა.

***– ყველა ეს ქმედება აძლიერებს ხელისუფლებას და მის წისქვილზე ასხამს წყალს. ასეა?***

– რა თქმა უნდა! გიორგის წარმატებას ვუსურვებ, მაგრამ მისი ეს ნაბიჯი, გარკვეულწილად, მაინც ეგოისტური იყო და ეს გადაწყვეტილება არავითარ შემთხვევაში არ წაადგება ოპოზიციას. ვისაც წაადგება, ეს არის სახელისუფლებო პარტია.

***– რეგიონებში ყველას თავისი კანდიდატი ეყოლება. თუკი მომგებიანი კანდიდატი იქნება, არც მას დაუჭერს ოპოზიცია მხარს? ეკა ბესელია მცხეთა-მთიანეთის მაჟორიტარი კანდიდატი იქნება. ექნება მას ოპოზიციის მხარდაჭერა, ან ვის გუნდში მოიაზრება?***

– მას ძირითადად ოპოზიციური ამომრჩეველი დაუჭერს მხარს. დააყენა კანდიდატურა, ეს მისი პირადი არჩევანია. თუ მოახერხებს მეორე ტურში გასვლას, ცხადია, მერე მთელი ოპოზიცია მას დაუჭერს მხარს.

***– ანუ ყველა თავის კანდიდატს დაუყენებს?***

– კი, ასე იქნება. რატომაც არა?! რატომ უნდა იყოს ეს შეთანხმების საგანი, არ მესმის. ყველას ჰყავს საკმაოდ ძლიერი კანდიდატები. მთავარია, ამ კანდიდატებმა მოახერხონ პირველივე ტურში გამარჯვება ან მეორე ტურში გასვლა.

***– რა შანსები აქვს თავად „ქართულ ოცნებას“?***

– თუ არჩევნები ჩატარდება ისე, როგორც პომპეომ სთხოვა გახარიას და როგორც გახარიამ აღუთქვა პომპეოს, მე ვერ ვიტყვი, რომ ვინმეს ექნება გამორჩეული შანსი, პირველივე ტურში გაიმარჯვოს. ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც თანაბარი შანსები აქვთ.

# „ოპოზიციამ ბევრი ტაქტიკური შეცდომა დაუშვა“

## ვახტანგ ძაბირაძე: „ქართულმა ოცნებამ“ 41% რომც აიღოს, მთავრობის დასაკომპლექტებლად გარკვეული დახმარება მაინც დასჭირდება“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებსა და მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ვახტანგ, მაჟორიტარულ ოლქებში კანდიდატები თითქმის გარკვეულია. არჩევნებისთვის ერთგვარი მონახაზი უკვე გაკეთებულია როგორც ოპოზიციის, ისე ხელისუფლების მხრიდან. თქვენი აზრით, როგორი იქნება შედეგები?***

– დიახ, ერთგვარი მონახაზი უკვე ცნობილია. ამ პროცესში მნიშვნელოვანი იყო, შეძლებდა თუ არა ოპოზიცია საერთო კანდიდატებზე შეთანხმებას. როგორც ვხედავთ, რეგიონებში ეს ვერ მოხერხდება და ნაციონალური მოძრაობა 22 ოლქში საკუთარ კანდიდატურას დაასახელებს. პრაგმატული თვალსაზრისით, მათი ლოგიკა მარტივად გასაგებია. ისინი ფიქრობენ, რომ უმრავლეს ოლქებში მეორე ტური დაინიშნება და მეორე ტურში სწორედ ნაციონალები გავლენ და დაუპირისპირდებიან „ოცნებას“. ასეთია მათი ლოგიკა.

რაც შეეხება ის მოსაზრებას, რომ საერთო ოპოზიციური ბლოკი გაკეთებულიყო და ე.წ. შუა ისევ გაკრეფილიყო ანუ ორპოლუსიანი არჩევნების შემთხვევაშიც ძალიან რთული იქნებოდა, არჩევნები ამ ბლოკს მოეგო.

***– რატომ?***

– რადგან პირდაპირ იქნებოდა აღქმული, რომ ამ ოპოზიციური ბლოკის ლიდერი სააკაშვილია. მეორე, ამაზე, ცხადია, არავითარ შემთხვევაში არ წავიდოდა „ევროპული საქართველო“. შესაბამისად, მივიღეთ ის, რაც მივიღეთ.

***– რამდენად რეალურია მეორე ტურების ალბათობა უმრავლეს ოლქებში?***

– მეორე ტურები ბევრგან იქნება, შეიძლება ითქვას, აბსოლუტურ უმრავლესობაში, 25 ოლქში მაინც, შეიძლება – მეტშიც. პირველ



ტურში იქნება ბევრი კანდიდატი და ხმები გადანაწილდება. მაჟორიტარულ არჩევნებში დიდი მნიშვნელობა აქვს კანდიდატის პიროვნებას, მის წონას, მის მოწონების რეიტინგს, მის პოპულარობას ხალხში, იმ რეგიონში, სადაც ის კენჭს იყრის.

***– კონკრეტული კანდიდატების შანსებზე რა შეგიძლიათ გვითხრათ?***

– ოპოზიციის კანდიდატებზე თუ მეკითხებით, მაგალითად, გრიგოლ ვაშაძეს აქვს შანსი ქუთაისში, მაგრამ ეს არ ნიშნავს 100%-ით მოგებას. ასევე შანსი აქვს აკაკი ბობოხიძეს, თუ ნაციონალური მოძრაობა კანდიდატს არ დაუყენებს და მათ შორის შეთანხმება შედგება. ხონის ოლქი მას არაერთხელ მოუგია.

***– ეკა ბესელიასა და ანა დოლიძის შანსებზე რას იტყვით?***

– მაგალითად, მცხეთა-მთიანეთი, სადაც საკუთარი კანდიდატურა დაასახელა ეკა ბესელიამ, ერთ-ერთი ყველაზე რთული რეგიონია თავისი განფენილობითა და ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით. აქ ეკა ბესელიას ოპოზიციამ საერთოდ კონკურენტი რომც არ დაუყენოს, მაინც რთული იქნება, თუმცა, როგორც ჩანს, თავად გადაამოწმა, ნახა შედეგები და ამიტომ შეაჩერა არჩევანი ამ რეგიონზე.

რაც შეეხება ანა დოლიძეს, რომელიც დიდუბე-ჩუღურეთში იყრის კენჭს და მან ეს დაპირისპირება დავითისა და გოლიათის ბრძოლას შეადარა, სიმართლე გითხრათ, მიჭირს წარმოდგენა, ერთი მხრივ, ანა დოლიძისა დავითის როლში და, მეორე მხრივ, გია ვოლსკისა – გოლიათის როლში, თუმცა საკმაოდ საინტერესო ბრძოლა იქნება.

ანა დოლიძეს საკმაოდ მაღალი რეიტინგი აქვს და ის იქნება ერთ-ერთი სერიოზული კანდიდატი თბილისში. ანა სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევს ვოლსკის. ანა დოლიძე არის მესამე კანდიდატი ოპოზიციიდან თბილისში დასახელებულთაგან, რომელსაც შანსი აქვს.

***– დანარჩენი ორი ვინ არის?***

– ვაკეში – ელენე ხოშტარია და გლდანში – ნიკა მელია.

თუ ოპოზიციის რეალური ამოცანაა მაჟორიტარულ ოლქებში წარმატება, მაშინ კეთილი ინებონ და გამოცდილ ტაქტიკას მიმართონ: სექტემბრის ბოლოსთვის ჩაატარონ ყველა მაჟორიტარულ ოლქში წინასწარი გამოკითხვა და, ოპოზიციის რომელ კანდიდატსაც მეტი შანსი ექნება, სწორედ იმ კანდიდატის სასარგებლოდ მოხსნან თავიანთი კანდიდატურა. ეს იქნებოდა ყველაზე სწორი სვლა როგორც პიარის თვალსაზრისით, ისე პრაგმატულადაც. თუმცა, სიმართლე გითხრათ, ძალიან დიდი ეჭვი მაქვს, რომ ამ მიმართულებით რაიმე ნაბიჯი გადაიდგას. ამ 30 წლის განმავლობაში არც არავის გადაუდგამს. ყოველთვის იყო ამაზე ლაპარაკი, შეთანხმება, მაგრამ, საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, არც არავინ ხსნიდა კანდიდატურას და არც არავინ უჭერდა მხარს.

***– საუბრის დასაწყისში თქვით, რომ ვერც ერთი პარტია ვერ გადალახავს 50%-ს, ვერც „ქართული ოცნება“ მაჟორიტარულ ნაწილში და ამიტომ ბევრი მეორე ტური იქნება. ფიქრობთ, კოალიციური მთავრობა რეალობაა?***

– ძალიან მინდა, რომ ასე იყოს და კოალიციური მმართველობა რეალობა იყოს საქართველოში ამდენი წლის შემდეგ. ეს იქნებოდა საკმაოდ წინ გადადგმული ნაბიჯი დემოკრატიზაციის პროცესში. თუმცა ოპოზიციამ ბევრი ტაქტიკური შეცდომა დაუშვა, ამიტომ, მიჭირს თქმა, რომ ოპოზიცია სერიოზული წინააღმდეგობის გაწევას შეძლებს.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ 41% რომც აიღოს, მთავრობის დასაკომპლექტებლად მაინც დასჭირდება გარკვეული დახმარება, რადგან მნიშვნელობა ექნება მაჟორიტარულ ხმებს. აქ როგორ გადანაწილდება ხმები, ესეც ანგარიშგასაწევი იქნება.

მთავრობის დასაკომპლექტებლად „ოცნებას“ უპირატესობა ექნება, მაგრამ მას მაინც მოუწევს კოალიციის გაკეთება. ეს ვითარება რომ შეიქმნას, ნამდვილად ჯობია ქვეყნისთვის. სხვა მხრივ, რომ გითხრათ, ეს არჩევნები მოულოდნელობებითა და სიურპრიზებით იქნება-მეთქი დახუნძლული, არა, რა თქმა უნდა.



**შევიძენ**

**ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.**

**ტელ.: 598-43-98-57**

# „საზოგადოებაში შექმნეს განცდა, რომ კრიმინალი ყვავის“

## ამირან სალუქვაძე: „ყველა მხარეს სჭირდება ინფორმაცია. მეც მჭირდება ინფორმაცია ანალიზისთვის, მაგრამ, როცა ერთი მხარისგან მუდმივად სიცრუეს ვისმენ, მიუღებელია და ყოველ სიტყვას ეჭვით ვუყურებ“

გულიკო ბალაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში ამირან სალუქვაძე პასუხობს.**



***— ბატონო ამირან, ბოლო დროს გახმაურებული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებასთან დაკავშირებით (ვგულისხმობ შაქარაშვილისა და ბაჩალიაშვილის საქმეებს) გარკვეული პირები, პარტიები თუ ადვოკატები აკრიტიკებენ შს სამინისტროს, საგამოძიებო ორგანოებს. ამ საკითხის მიმართ თქვენი დამოკიდებულება როგორია?***

— რაც შაქარაშვილისა და ბაჩალიაშვილის საქმეებთან დაკავშირებით ხდება, წარმოუდგენელია, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში მსგავსი რამ მოხდეს. ადვოკატების მეშვეობით მედია პირდაპირ ეთერში პარალელურ გამოძიებას აწარმოებს და საგამოძიებო მასალების დემონსტრირებას ახდენს, რა თქმა უნდა, ადვოკატების ინტერესების გათვალისწინებით.

გარდა იმისა, რომ ეს ყველაფერი ემსახურება ვიწროპოლიტიკურ მიზნებს, რადგან წინ არჩევნებია (წინა წელსაც ასე იყო. ყოველ წელს არჩევნებია, ხან – პრეზიდენტის, ხან – ადგილობრივი, ხან – საპარლამენტო), ძალოვან სტრუქტურებზე შეტევის პროცესები არ წყდება, რაც სცდება ელემენტარულ ნორმებს. აქ ისმება კითხვა: ვის ინტერესებს იცავს მედია, როცა მეტწილად ბრალდებულების ადვოკატებს აძლევს ტრიბუნას? ეს კატასტროფაა, აბსოლუტურად ყველანაირი ბალანსი დარღვეულია.

***— ადვოკატი დაცვის მხარეა და, ალბათ, იმიტომ.***

— ადვოკატების საწინააღმდეგო, რა თქმა უნდა, არაფერი მაქვს. ისინი თავიანთ საქმეს აკეთებენ და საკუთარი კლიენტების გადარჩენას ცდილობენ. ეს ჩვეულებრივი საქმეა, მაგრამ ამგვარი განხილვების ადგილი მხოლოდ და მხოლოდ სასამართლო დარბაზია, სადაც დაცულია ბალანსი. იქ თანაბრად არის წარმოდგენილი ბრალდების მხარე და ადვოკატები.

***— ამ შემთხვევაში ადვოკატები პოლიტიკურ კონიუნქტურას ექვემდებარებიან?***

— ამის თქმა არ მინდა, მაგრამ იქ არის ცალკეული შემთხვევები, სადაც შეიძლება კავშირების დანახვა. ბრმა არავინ არის, თუმცა, ადვოკატს თუ მისცემ ტრიბუნას დილიდან საღამომდე – ცალკე სასამართლო დარბაზში ამართლოს თავისი კლიენტი და აქეთ მთელ ქვეყანას ელაპარაკოს დღეების, კვირების, თვეების განმავლობაში, რა თქმა უნდა, ის ამას გააკეთებს იმისათვის, რომ თავისი კლიენტის სასარგებლო საზოგადოებრივი აზრი შექმნას. როგორ დავადანაშაულო. ამიტომ უნდა დავიცვათ სტანდარტი.

როდესაც ჩვენ ვაკრიტიკებთ რომელიღაც მედიასაშუალებას, რომ ცალმხრივად, ტენდენციურად ახდენს ინფორმაციის მიწოდებას, ერთი ამბავი ტყდება, აი, მედიას თავს გვესხმიანო. შეიძლება, ეს განცდა ჰქონდეთ და უნდათ, ისე წარმოაჩინონ, თითქოს ვინმე მედიას ინფორმაციის მიწოდებას უკრძალავს. მედიის საქმე ზუსტად ინფორმაციის მიწოდებაა და არა დილიდან საღამომდე გამოძიებების ტარება.

არ გამოვრიცხავ, ვერ უარვყოფ და ვერ ავუკრძალავ (ღმერთმა დამიფაროს, რომ ავუკრძალო) საგამოძიებო ჟურნალისტიკას, რომელიც ჟურნალისტიკის ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ეს მე ბრწყინვალედ მესმის, მაგრამ, როდესაც, ფაქტობრივად, საგამოძიებო ჟურნალისტს პირდაპირი წვდომა აქვს საგამოძიებო მასალებთან და იქიდან გამომდინარე საუბრობს, ეს უკვე აღარ არის საგამოძიებო ჟურნალისტიკა. ამას ნებისმიერი დაადასტურებს.

საგამოძიებო ჟურნალისტიკა მაშინ არის და თავის სახელს მაშინ ამართლებს, როდესაც ჟურნალისტს საგამოძიებო მასალებზე წვდომა არ აქვს და საკუთარი ძალებით, საკუთარი წყაროებით მოიპოვებს ინფორმაციებს.

ის რა საგამოძიებო ჟურნალისტიკაა, როდესაც ადვოკატი შედის შს სამინისტროში, გამოაქვს გამოძიების მიერ მოპოვებული მასალების ახალი ტომი და მიაქვს ტელევიზიაში. ეს არის საგამოძიებო მასალების გამომზეურება ტელევიზიით, რაც პირდაპირ უშლის ხელს გამოძიებას. ამიტომ არის შეტევა საგამოძიებო სტრუქტურებზე და იქმნება არასწორი საზოგადოებრივი აზრი.

***— თუ საგამოძიებო მასალების გამომზეურებაა, რატომ იქმნება არასწორი საზოგადოებრივი აზრი?***

— იმიტომ, რომ მხოლოდ ადვოკატები საუბრობენ. ძიებას თავისი სტრატეგია აქვს. გამოძიება ხელოვნებაა. არ შეიძლება, ყოველ 2-3 დღეში პროკურატურის წარმომადგენელი გამოვიდეს და საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდოს დოზირებით. ჯერჯერობით, ეს ხდება იმ ფორმით, რომ ძიებას ზიანი არ მიადგეს. ასე თუ გავაგრძელებთ, მივალთ იქამდე, რომ პროკურატურას, საგამოძიებო სტრუქტურებს აბსოლუტურად ყველა საქმეზე (ჯიბის ქურდობა იქნება თუ მკვლელობა) მოუწევთ საიდუმლოების შენახვა და მონაწილე პირებისთვის ხელწერილების ჩამორთმევა. რა უბედურებაა, სად ვცხოვრობთ, რა კრიმინალური ქრონიკაა?!

კრიმინალური ქრონიკაზე, რომელზეც მე ვლაპარაკობ, უკვე ბევრი წერს, სოციალურ ქსელშიც ვრცელდება ინფორმაციები. მე მუდმივად ვცდილობ, აქცენტი სტატისტიკაზე გავაკეთო, როგორ აშუქებდნენ ერთი და იგივე მედიასაშუალებები, ერთი და იგივე ჟურნალისტები საზოგადოებრივ ცხოვრებას წლების წინ და როგორ აშუქებენ ისინი ამ ხელისუფლების პირობებში.

***— როგორ?***

— აქ პირდაპირ იკვეთება პოლიტიკური მიზნები. არ შეიძლება, 2012 წლამდე ვითარებას აშუქებდე მხოლოდ ვარდისფერში, აჩვენებდე გზების, საავადმყოფოების გახსნას და მალავდე კრიმინალს, 2012 წლიდან კი საინფორმაციო გამოშვებები კრიმინალურ ქრონიკად აქციო, საზოგადოებაში იმის განცდა შექმნა, რომ კრიმინალი ყვავის. ბოლოს და ბოლოს, შეგვიძლია, სტატისტიკას დავუჯეროთ ან არ დავუჯეროთ, მაგრამ იმ წლების საუკეთესო სტატისტიკა და ამ წლების ყველაზე უარესი სტატისტიკა ავიღოთ და შევადაროთ. დავინახავთ, რომ ერთი და იგივე ტელევიზიები (3-4 ტელევიზია) მუდმივად ორიენტირებული არიან დეპრესიულ, დამთრგუნველ საინფორმაციო პოლიტიკაზე, საინფორმაციო გამოშვების ნახევარს კრიმინალის გაშუქებას უთმობენ.

***— მედიამ ძალოვან სტრუქტურებზე არ უნდა ილაპარაკოს?***

— მედიამ ძალოვან სტრუქტურებზეც უნდა ილაპარაკოს, მაგრამ ეს უნდა იყოს ჯანსაღი პროცესი და არ უნდა ატარებდეს ძალოვანი სტრუქტურების დათრგუნვის ხასიათს.

***— ძალოვან სტრუქტურებსა და საქმეების გამოძიებაზე მინდა გკითხოთ. მაგალითად, ბაჩალიაშვილის საქმეზე დაზარალებულის ადვოკატი უკმაყოფილოა, გამომძიებლებმა გარდაცვლილის კომპიუტერი ჩემი თანდასწრებით რატომ არ გახსნესო. თუ ასე იყო, არ უნდა თქვას?***

— ესეც ცალმხრივი ინფორმაციაა. ჩვენ ვუსმენთ ადვოკატს და უნდა დავიჯეროთ, რომ ასე მოხდა. საგამოძიებო სტრუქტურებს, შს სამინისტროს, პროკურატურას დაუსვით კითხვა და შემდეგ შეაფასეთ. მე სანამ ორივე მხარეს არ მოვუსმენ, ვერ შევაფასებ. ადვოკატმა თავისი აზრი და დამოკიდებულება სასამართლოს უნდა უთხრას. მედიამაც უნდა გააშუქოს, როცა ღია სხდომებია. იქ თანაბრად უნდა მოვისმინოთ პროკურორის განცხადებაც და ადვოკატისაც.

ადვოკატი ამას სასამართლოში რომ განაცხადებს და იქ პროკურორი პასუხს გასცემს, ის ინფორმაცია გამოვიტანოთ გარეთ. თუ აღმოჩნდება, რომ საგამოძიებო სტრუქტურამ სათანადო პასუხი ვერ გასცა, არადამაჯერებლად უპასუხა, მაშინ, კი ბატონო, ორივე ხელით ადვოკატის მხარეს ვიქნები. თუ მეორე მხარე დაასაბუთებს, რომ ადვოკატის მიერ გაჟღერებული ინფორმაცია (რაც საკმაოდ ხშირად ხდება ამ დღეების განმავლობაში) სიმართლეს არ შეესაბამება, მაშინ ბოდიში მოიხადოს. მეც ადვოკატი რომ ვიყო, ასე ვილაპარაკებდი, რადგან მას ამაში თანხას უხდიან. ადვოკატები საკმაოდ სოლიდურ ანაზღაურებას იღებენ.

***— სამწუხაროდ, ისეთი პრაქტიკაც არის, რომ სამართალდამცავებში გადაცდომებიც იყო თავის დროზე გამოძიების პროცესში. წინა ხელისუფლების დროს ამას მასობრივი ხასიათი ჰქონდა. ამ ხელისუფლების დროსაც იყო გადაცდომა დანაშაულის გამოძიების დროს.***

— ყველა მხარეს სჭირდება ინფორმაცია. მეც მჭირდება ინფორმაცია ანალიზისთვის, მაგრამ, როცა ერთი მხრისაგან მუდმივად სიცრუეს ვისმენ, მიუღებელია და ყოველ სიტყვას ეჭვით ვუყურებ.

ხომ ხედავთ, რამხელა ამბები ატყდა ახლა სომხეთში ოთხი ჟანგიანი კამაზის თითქოსდა გატარების გამო. იციან, რომ იმ ტექნიკამ გაიარა? არა, მაგრამ, მცდელობა იყო, საქართველო საერთაშორისო სკანდალში გაეხვიათ. თან უბრალო სკანდალი არ არის, რადგან ორი მეზობელი სახელმწიფოა დაპირისპირებული.

# ლევან ჩაჩუა: „ბიძინა ივანიშვილს არჩევნების გადავადება აწყობს“

## „ამ არჩევნებისთვის „ოცნება“ გამომწვევად ოდიოზურ კანდიდატურებს ასახელებს“

მარიამ მჭედლიშვილი

**საქართველოს ხელისუფლების მიმართ ვაშინგტონის მწვავე კრიტიკა გრძელდება — აშშ-ის კონგრესის 6 წარმომადგენელი მიმართავს სახელმწიფო მდივან პომპეოს. ისინი ბიძინა ივანიშვილს რუს ოლიგარქად და რუსეთ-ჩინეთის ინტერესების გამტარებლად მოიხსენიებენ. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა მოძრაობა „ქართული იდეის“ ლიდერ ლევან ჩაჩუას.**

***— ვაშინგტონიდან კრიტიკის გრიგალი არ წყდება. მიმართვაში, რომელიც 6 კონგრესმენი უგზავნის სახელმწიფო მდივანს, საქართველოს მმართველი პარტიის თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი მოხსენიებულია რუს ოლიგარქად, რომელიც ხელს უშლის ამერიკულ ბიზნესს, ამ სახელმწიფოს ინტერესებს და რუსეთისა და ჩინეთის მოკავშირეა. რა გზავნილია ეს მოახლოებული არჩევნებისათვის?***

— ბიძინა ივანიშვილისათვის ეს კიდევ ერთი გაფრთხილებაა. ჩვენ ვცხოვრობთ პოლიტტექნოლოგიების ეპოქაში. ასეთი განცხადებები და გზავნილები ხშირად სხვა დანიშნულების მატარებელია და იგულისხმება სხვა რამ. ამ განცხადების ნამდვილი შინაარსი ასე უნდა გავიგოთ: გარკვეულ ძალებს ბიძინა ივანიშვილი მძევლად ჰყავთ აყვანილი ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, მის კუდზე ბოლომდე აქვთ ფეხი დაჭერილი. მაშინ, როცა აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდებოდა, ბიძინა ივანიშვილი მხარს უჭერდა დონალდ ტრამპის მეტოქე ჰილარი კლინტონს. მას ამაში ფინანსური წვლილიც შეჰქონდა. ახლა ამერიკაში ისევ საპრეზიდენტო ციებ-ცხელებაა და ივანიშვილი არის ტრამპის კონკურენტის, ბაიდენის მომხრე. ამავე პოზიციაზეა საქართველოში მოქმედი მეინსტრიმული მედია, ანუ ტელევიზიები, რომლებიც (ზოგი მეტად და ზოგი ნაკლებად) კონტროლდება ივანიშვილის მიერ. აღარაფერს ვამბობ არასამთავრობო ორგანიზაციების დიდ ნაწილზე. მათ საქართველოში მოაწყვეს საპროტესტო აქციები იმ დროს, როცა ტრამპის საწინააღმდეგო გამოსვლები იყო აშშ-ში. აქაურმა ფემინისტებმა და სხვებმა მხარი აუბეს ანტიტრამპულ აქციებს.





***— ივანიშვილი რომ ბაიდენის მომხრეა, ამაზე ინფორმაცია გაქვთ? მას ამაზე არ უსაუბრია.***

— დიახ, არ უსაუბრია. ღიად ივანიშვილს არც მაშინ ჰილარი კლინტონისათვის დაუჭერია მხარი. მისი დუმილი ანტიტრამპულ გამოსვლებზე მრავლისმეტყველია. იმაზე, რომ იგი ბაიდენის მხარდამჭერია, სანდო ინფორმაცია მაქვს. ივანიშვილი ულტრალიბერალების მხარეს იჭერს. ის არის კონსერვატიული ძალების მოწინააღმდეგე. ხომ ხედავთ, ვინ ახვევია გარშემო პარტიაში! საარჩევნო შტაბი ივანიშვილმა ჩააბარა ლიბერალური ინტერნაციონალის ერთ-ერთ წარმომადგენელ ირაკლი კობახიძეს. ეგ კი არა, ივანიშვილს საქართველოს არჩევნების გადადება აწყობს.

***— საპარლამენტო არჩევნების მოგვიანებით გამართვა აწყობს?***

— დიახ. ივანიშვილს ურჩევნია, დაელოდოს აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგს. მას, რასაკვირველია, ბაიდენის გამარჯვება უნდა. არჩევნების გადატანა ძნელია, მაგრამ ამისათვის შეიძლება კოდური სახელწოდება „კოვიდის“ გამოყენება.

***— თქვენ ივანიშვილის შეხედულებებზე ისაუბრეთ. არ გითქვამთ, რატომ აკრიტიკებენ მას ასე მძაფრად ვაშინგტონიდან. გამკრიტიკებლებს შორის ორივე პარტიის წარმომადგენლები არიან.***

— როგორც გითხარით, ივანიშვილისთვის კუდზე ფეხი აქვთ დაჭერილი. ის არის ულტრალიბერალური ძალების მძევალი. მას აშინებენ სანქციებითა და ანგარიშების გაყინვით. ეს არის გაფრთხილებები, რომ ის არ გამოვიდეს კონტროლიდან. ხომ ხედავთ, რა პროცესები მიმდინარეობს თვითონ ამერიკაში! ტრამპი თავისი კონსერვატიული პოზიციებით მარტო არ არის. აშშ-ის კონსერვატიულმა საზოგადოებამ გამოიღვიძა და ულტრალიბერალებს დაუპირისპირდა. ძვრებია მთელ მსოფლიოში. კონსერვატორები და ტრადიციონალისტები საკმაოდ გაძლიერდნენ ევროპაში. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

***— საქართველოში რა ხდება ამ მიმართულებით?***

— საქართველომდე ამ სიოს ჯერ არ მოუღწევია, თუმცა აუცილებლად მოაღწევს. საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი თავისი მენტალიტეტით კონსერვატორია, თუმცა ეს არ არის ასახული პარლამენტში, საკრებულოებში. არ შეიძლება, მსოფლიოში მიმდინარე ძვრებმა არ იმოქმედოს საქართველოზე. აშშ-სა და ევროპაში ტრადიციონალისტები ძლიერდებიან. რუსეთმა მიიღო შესწორებები კონსტიტუციაში. ამ ახალი კონსტიტუციით რუსეთში მიღებული კანონები საერთაშორისო ნორმებზე მაღლა დგება. ამით რუსეთმა დაიცვა საკუთარი სუვერენიტეტი და ტრადიციები.

***— ამ არჩევნებისათვის ვერ გაძლიერდებიან კონსერვატორები საქართველოში?***

— ჩვენ ამ არჩევნებისთვისაც ყველაფერს გავაკეთებთ კონსერვატიული ძალების გაერთიანებისათვის. მართალია, კონსერვატიულ და ეროვნულ ძალებს საქართველოში ყველანაირად ხელს უშლია, უბლოკავენ ეთერს, მაგრამ ჩვენ მაინც არ ვჩერდებით. „ქართულ მოძრაობას“ საარჩევნო განაცხადი შეტანილი გვაქვს. 15 აგვისტოს დარეგისტრირებას ველოდებით. ყველა ჯგუფს, ძალასა და პირს მოვუწოდებთ ერთად დადგომისაკენ. მე იმის პრეტენზია არა მაქვს, რომ სიაში პირველი ვიყო. მეათე ვიქნები, ოღონდ, ეროვნული ძალები გავერთიანდეთ.

***— „ქართულ ოცნებაში“ ადრე კონსერვატორებიც იყვნენ და ლიბერალებიც. ახლა რა ხდება?***

— ახლა კონსერვატორები, ფაქტობრივად, აღარ დარჩნენ. არჩევნებისათვის ივანიშვილი გამომწვევად ოდიოზურ კანდიდატურებს ასახელებს. მაგალითად. მარნეულში მაჟორიტარობის კანდიდატად წამოყენებულია ზაურ დარგალი. ამ კაცმა 26 მაისს დადგა ნარიმანოვის ძეგლი. იმ ნარიმანოვისა, რომელიც ჩვენი დამოუკიდებლობის დამსამარებელია. ჩვენ ასეთ ოდიოზურ კანდიდატურებსაც ვუპირისპირდებით და აგრესიულ ლიბერალიზმსაც. სააკაშვილის რეჟიმისა არ შეგვშინებია. პირადად მე პოლიტპატიმარი ვიყავი და 3 წელიწადი გავატარე სააკაშვილის გულაგში. არც სააკაშვილისა შეგვშინებია და არც ივანიშვილს ვუყიდივართ. არავის მივყიდვივართ. გვაქვს მორალური უფლება, ვიბრძოლოთ საქართველოს უკეთესი მომავლისათვის და იმ მანკიერი სისტემის წინააღმდეგ, რომელიც სამარცხვინო ლაქად შევა საქართველოს უახლეს ისტორიაში.

# მოსამართლე ბუგიანიშვილმა გიორგი რურუას 4 წელი მიუსაჯა

## რურუა განაჩენს ღიმილით შეხვდა




„მთავარი არხის" ერთ-ერთი მეწილე გიორგი რურუა სასამართლომ დამნაშავედ ცნო და მას თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით შეუფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება 30 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ვალერიან ბუგიანიშვილმა გამოაცხადა.

მოსამართლემ რურუა წარდგენილ ორივე მუხლში გაამტყუნა.

გიორგი რურუას ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე დაცვის მხარემ დასკვნითი სიტყვა 29 ივლისს წარმოთქვა. საბოლოო სიტყვით ისარგებლა ბრალდებულმაც, რომელმაც აღნიშნა, რომ ის პოლიტიკური დევნის მაგალითია და მისი საქმე საბჭოთა პროპაგანდის გაგებით გააყალბეს. ამასთან, რურუამ განაცხადა, რომ სასამართლოს წინასწარ გამოტანილი ვერდიქტის დამტკიცება ევალებოდა.

გიორგი რურუას ადვოკატ დიმიტრი საძაგლიშვილის განცხადებით, ის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს.

როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, ბრალდების მხარეს არც ერთი მტკიცებულება არ ჰქონდა, შესაბამისად, ტერმინები – პროკურორი, სამართალი, მოსამართლე და კანონიერება, არარელევანტურია.

– გასაჩივრებას, ბუნებრივია, ვაპირებთ, არა იმიტომ, რომ სააპელაციო სასამართლოს იმედი გვაქვს და გვგონია, რომ იქ დაგვხვდებიან პოლიტიკური გავლენებისგან თავისუფალი მოსამართლეები, არამედ იმიტომ, რომ ჩვენი ანუ დაცვის მხარის ვალდებულებაა, გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა. გამოვიყენოთ, მიუხედავად იმისა, თუ რა კატეგორიის, რა პრინციპებისა და რა ღირსების მოსამართლეები დაგხვდებიან სააპელაციო ან უზენაეს სასამართლოებში.

მოსალოდნელი იყო ეს გადაწყვეტილება. ალბათ, ნახეთ, რომ თავად გიორგი რურუაც ღიმილით შეხვდა ამ გადაწყვეტილებას, იმიტომ, რომ ჩვენ წინასწარ ვიცოდით. სიმართლე გითხრათ, მე მეგონა, 5 წელს მიუსჯიდა მოსამართლე, აღმოჩნდა, რომ 4 წელი მიუსაჯა, ამ ნაწილში იყო მოულოდნელი.

საქმეში არც ერთ მუხლთან დაკავშირებით არც ერთი მტკიცებულება არ არსებობდა, რომელიც მის დამნაშავეობას დაადასტურებდა და, პირიქით, უამრავი მტკიცებულება არსებობდა საქმეში, რომელიც ადასტურებდა პოლიციელებისა და პროკურორების დანაშაულებს. რა კანონიერებაზე ვსაუბრობთ, – განაცხადა საძაგლიშვილმა.

გიორგი რურუას განაჩენს ბრალდების მხარე სწორ გადაწყვეტილებად აფასებს.

პროკურორ ვასილ სამხარაძის განცხადებით, სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი მტკიცებულებების საფუძველზე გამოიტანა.

– ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები საბოლოოდ შეაფასა დღეს სასამართლომ და მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება. ბრალად წარდგენილ ქმედებებში, ანუ სისხლის სამართლის კოდექსის 381-ე მუხლის პირველ ნაწილში და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილში გიორგი რურუა დამნაშავედ ცნო და მას ერთობლიობაში სასამართლომ თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით მიუსაჯა. ეს არის ლოგიკური გადაწყვეტილება, რაც სასამართლომ მიიღო. თავისთავად, სასამართლო მტკიცებულებების შეფასების შედეგად მივიდა ამ გადაწყვეტილებამდე.

მტკიცებულებებს რაც შეეხება, ბრალდების მხარეს წარდგენილი ჰქონდა, როგორც ერთი დანაშაულის, ასევე მეორე დანაშაულის მიმართ. პოლიტიკურ ჭრილს რაც შეეხება, სასამართლო მტკიცებულებებს აფასებს, ბრალდების მხარესაც კონკრეტული მტკიცებულებები ჰქონდა წარდგენილი და მისი შეფასება მოხდა სასამართლოში, – განაცხადა სამხარაძემ.

# ადვოკატი: „ირაკლი ნაქაძე მხოლოდ ჯგუფურად ძალადობის მუხლით არის დაკავებული"




გიორგი შაქარაშვილის საქმესთან დაკავშირებით დაკავებული ფეხბურთელის ირაკლი ნაქაძის ადვოკატ გაიოზ ჩარკვიანის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ჯგუფურად ძალადობის მუხლით არის დაკავებული და საგამოძიებო უწყებები მას სხვა მუხლით არ ედავებიან.

მისივე თქმით, ირაკლი ნაქაძის მიმართ სხვა მუხლების წაყენება არარეალურია.

– კადრებშიც კარგად ჩანს, რომ ირაკლი ნაქაძეს ნამდვილად არ უჭირავს არც ბლაგვი საგანი და არც არავის ურტყამს, სათვალთვალო ვიდეოკამერიდან ამოღებული ფირიც არაფრის მანიშნებელია იმასთან დაკავშირებით, თუ ვის ურტყამს და რას ურტყამს. ეს საგამოძიებო უწყების წარმომადგენლებმაც და პროკურატურამაც კარგად იციან.

ირაკლი ნაქაძე დაკავებულია მხოლოდ ჯგუფურად ძალადობის მუხლით, სხვა არანაირი მუხლით მას არც პროკურატურა და არც სხვა საგამოძიებო უწყებები არ ედავებიან და ვერც შეედავებიან იმიტომ, რომ ფაქტობრივად რეალობაში არ არის ეს და ტყუილად სხვა მუხლებით რომ ბრალი წაუყენონ, ეს არანაირ კონტექსტში არ ჯდება, – განაცხადა ადვოკატმა გაიოზ ჩარკვიანმა მედიაცენტრ „მთავარის" პრესკლუბში.

19 ივნისს გიორგი შაქარაშვილის დაკარგვის შესახებ ოჯახმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა. 4-დღიანი საძიებო სამუშაოების შედეგად მყვინთავებმა გიორგი შაქარაშვილის ცხედარი წყალში იპოვეს. შაქარაშვილის გარდაცვალების საქმეზე 17 პირია დაკავებული.

# ირაკლი ღლონტს ლერი სულაბერიძის მკვლელობის მცდელობისთვის ბრალი წაუყენეს



საქართველოს პროკურატურამ ლერი სულაბერიძის განზრახ მკვლელობის მცდელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა– შენახვა-ტარების ფაქტზე ირაკლი ღლონტს ბრალდება წარუდგინა.

პროკურატურის ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წლის 28 ივლისს, ქ.თბილისში, წყნეთის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორიაზე, ი.ღ.-მ განზრახ მოკვლის მიზნით მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმეჯერ გაისროლა ლ.ს.-ს მიმართულებით, რომელიც საკუთარი ავტომანქანით გადაადგილდებოდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოძიების პროცესში ჩატარდა არაერთი საგამოძიებო მოქმედება, რა დროსაც ნივთმტკიცების სახით ამოღებულ იქნა საბრძოლო მასალა. სამართალდამცველებმა ი.ღ. 2020 წლის 29 ივლისს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,108-ე და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პროკურატურა დღეს მიმართავს თბილისის საქალაქო სასამართლოს ი.ღ.-სთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება.

ირაკლი ღლონტი ბრალს არ აღიარებს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" დაკავებულის ადვოკატმა განუცხადა.

როგორც ადვოკატი კახა წერეთელი აცხადებს, ამ ეტაპზე მისი დაცვის ქვეშ მყოფი იყენებს დუმილის უფლებას.

– გადმოგვეცა საქმის მასალები, რომელსაც ვეცნობით. საკმაოდ მოცულობითია და დრო სჭირდება მის გაცნობას. ხვალ იქნება, ალბათ, უკვე აღკვეთის ღონისძიების თაობაზე სასამართლო სხდომა, – განაცხადა ადვოკატმა.

# შსს–ს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტმა ტაქტიკური სწავლება ჩაატარა



შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტმა იაღლუჯის საწვრთნელ სასროლეთზე ტაქტიკური საჩვენებელი სწავლება გამართა. სწავლებას შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე იოსებ ჭელიძე, სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის დირექტორი ზურაბ ჭაბაშვილი და სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის ხელმძღვანელები დაესწრნენ.

ტაქტიკური საჩვენებელი სწავლების მიზანს შინაგან საქმეთა მინისტრისა და სხვა ხელმძღვანელი პირებისთვის სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის სწრაფი რეაგირების სამმართველოს მომზადების დონის დემონსტრირება წარმოადგენდა.

ტაქტიკური საჩვენებელი სწავლების დროს სტრატეგიული მილსადენების დეპარტამენტის დანაყოფებმა კონკრეტულ ინციდენტზე კომპლექსური ღონისძიებების დემონსტრირება მოახდინეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის, ბაქო-თბილისი-ერზრუმის სამხრეთკავკასიური გაზსადენის, სუფსის ნავთობის ტერმინალისა და მათი ინფრასტრუქტურის ობიექტების უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

# სუსმა თბილისის მერიის თანამშრომელი დააკავა



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურთან თანამშრომლობით ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ქრთამის აღების ფაქტზე ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური ინსპექციის თანამშრომელი დააკავეს.

გამოძიებით დგინდება, რომ ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დიდუბის რაიონის გარევაჭრობის ცვლის უფროსმა თავის სამოქმედო ტერიტორიაზე გარევაჭრობის მფარველობისათვის მოქალაქეს ქრთამის სახით ყოველთვიურად 1.000 ლარის გადახდა მოსთხოვა და, შესაბამისად, მიმდინარე წლის 29 ივლისს მოქალაქეს აღნიშნული თანხა გამოართვა.

გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით), რაც სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით ითვალისწინებს.

გამოძიებას აწარმოებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო.

# თბილისში დაკავებული ლევან ბარათელი ესპანეთში მცხოვრები „კანონიერი ქურდის" ლაშა ბარათელის ძმაა



ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით დაკავებული ლევან ბარათელი ესპანეთში მყოფი ქართველი „კანონიერი ქურდის" ლაშა ბარათელის, მეტსახელად „ჭიას" ძმაა. სწორედ ძმებს შორის შემდგარი სატელეფონო საუბარი გახდა ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულება გამოძიებისთვის, რის შემდეგაც თბილისში დაკავების ოპერაცია დაიგეგმა.

საუბრის მიხედვით, თბილისში მყოფი ლევან ბარათელი ძმასთან ათანხმებს დეტალებს, როგორ უნდა მოხვდეს ქურდული გარჩევის შედეგად მიღებული თანხა კრიმინალური ავტორიტეტების ხელში. იმ დროს, როცა ლევან ბარათელი უკანონო საქმიანობას ეწეოდა, ის თბილისში დროებით ნათესავთან ცხოვრობდა.

კრიმინალურ სამყაროსთან დაკავშირებული ძმების დანაშაულზე საუბარი უჭირთ სენაკში, იქ, სადაც წლებია, ბარათელების ოჯახი ცხოვრობს. ერთადერთი, რასაც „კურიერთან" ადასტურებენ, „კანონიერ ქურდებთან" შემხებლობა და კავშირია.

ლევან ბარათელთან ერთად დაკავებულია კობა კვარაცხელიაც, იგივე „ბაჯუნა". გამოძიების ვერსიით, სწორედ ეს ორი პირი „კანონიერი ქურდების" დავალებით თბილისში ბიზნესმენებს თანხას სძალავდა. „კურიერმა" გაარკვია, რომ ოპერატიული ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტრომ ერთ-ერთი დაზარალებულისგან მიიღო. ამის შემდეგ დაიგეგმა ფარული მოსმენა, რა დროსაც გამოძიებამ მოიპოვა ჩანაწერი, როგორ აიძულებდნენ მოქალაქეს თანხის დათმობას.

„ქურდული სამყაროს" წევრობის გარდა, მათ ასევე ბრალად ედებათ ცეცხლსასროლი იარაღისა და ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა. არც ერთი დაკავებული თავს დამნაშავედ ბრალის არც ერთ ნაწილში არ ცნობს.

ორივე დაკავებული წარსულში ნასამართლევია. ახალი ბრალის დამტკიცების შემთხვევაში მათ 10 წლამდე პატიმრობა ემუქრებათ.

# შსს–მ თბილისში ძალადობის ბრალდებით ბ.ხ. დააკავა



შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1996 წელს დაბადებული, ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ბ.ხ. ძალადობის ბრალდებით თბილისში დააკავეს.

შსს-ს ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული მიმდინარე წლის 28 ივლისს თბილისში, მუხიანში მდებარე ერთ-ერთ სასურსათო მაღაზიაში შევიდა და თანხის შემდგომი გადახდის პირობით ალკოჰოლური სასმელის მიცემა მოითხოვა, უარის მიღების შემდეგ კი ამავე მაღაზიის მეპატრონესა და მის მეუღლეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი პრიმა ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ჯგუფურ ძალადობას გულისხმობს.

# ტრამპმა აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების გადადება მოითხოვა



ფოსტის საშუალებით ხმის მიცემით 2020 წელს ისტორიაში ყველაზე არაზუსტი და გაყალბებული არჩევნები გვექნება, რაც დიდ უხერხულობას გამოიწვევს შეერთებულ შტატებში.

ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ წერს.

აშშ-ის პრეზიდენტი არჩევნების გადადების ინიციატივით გამოდის.

„გადავდოთ არჩევნები, ვიდრე ხალხს უსაფრთხოდ და წესების დაცვით ხმის მიცემის შესაძლებლობა არ ექნება?“ – წერს ტრამპი.

აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნების გამართვა 3 ნოემბრისთვის არის დაგეგმილი.

# ბორის ჯონსონი: „თავი არ უნდა მოვიტყუოთ, რომ პანდემია დასრულდა“



ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა განაცხადა, რომ დიდ ბრიტანეთში კოვიდ 19-ის ეპიდემია გარკვეული ზომების საშუალებით უკვე კონტროლირებადი გახდა, მაგრამ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში შემთხვევების ზრდა ნათელს ხდის, რომ მსოფლიოში პანდემია ჯერ არ დასრულებულა.

– კონტროლის გარკვეული ზომების საშუალებით ჩვენს ქვეყანაში სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირების კუთხით წარმატებას მივაღწიეთ, მაგრამ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ვირუსის შემთხვევების მატებას ვხედავთ. ასევე შეგიძლიათ, ნახოთ, რა ხდება შეერთებულ შტატებში და ამიტომ თავი არ უნდა მოვიტყუოთ, რომ პანდემია დასრულდა, ვინაიდან ის ჯერ არ დასრულებულა, – განაცხადა ბორის ჯონსონმა.

# გერმანიის ეკონომიკა მეორე კვარტალში 10,1%-ით შემცირდა



კორონავირუსის პანდემიისგან დაზარალებული გერმანიის ეკონომიკა წლის მეორე კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით, 10,1%-ით შემცირდა.

ეს არის ყველაზე მკვეთრი ვარდნა მას შემდეგ, რაც ქვეყანაში 1970 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის კვარტალური გაანგარიშებები დაიწყო.

გერმანიის ეკონომიკა აპრილიდან ივნისამდე პერიოდში, წინა წელთან შედარებით, 11,7%-ით შემცირდა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# მეგან მარკლმა და პრინცმა ჰარიმ დრონით თავიანთი შვილის გადაღების გამო იჩივლეს

პრინცმა ჰარიმ და მისმა მეუღლე მეგან მარკლმა მათ პირად ცხოვრებაში შეჭრისთვის სასამართლოში სარჩელი შეიტანეს. ამ ინფორმაციას წყვილის ადვოკატებზე დაყრდნობით ერთ-ერთი ბრიტანული ტელეარხი ავრცელებს.

აღსანიშნავია, რომ მათ სასამართლოს მას შემდეგ მიმართეს, რაც თითქოსდა უცნობმა პირებმა მათი 14 თვის შვილის, არჩის გადასაღებად დრონები გამოიყენეს. კვადროკოპტერები ცაში დღეში სამჯერ ფრინდებოდნენ და გადაღებების წარმოება შეეძლოთ როგორც დილით ადრე და დღისით, ასევე გვიან საღამოსაც, რითიც აწუხებდნენ როგორც მეზობლებს, ისე მშვიდი ძილის საშუალებას არ აძლევდნენ წყვილის პირმშოს.

სარჩელში მითითებულია, რომ ზოგიერთმა რეპორტიორმა საჭვრეტი ხვრელები გააკეთა ღობეში სურათების გადასაღებად. ოჯახი ცდილობდა, ამისთვის ყურადღება არ მიექცია, მაგრამ დრონებთან დაკავშირებული ინციდენტი მათი მოთმინების ფიალაში ბოლო წვეთი აღმოჩნდა.

ჰარი და მეგანი ასევე ამტკიცებენ, რომ ვიღაც არჩის ფოტოსურათებით ვაჭრობდა და ამტკიცებდა, რომ ისინი მცირე ხნის წინ ოჯახის სეირნობის დროს იყო გადაღებული. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ წყვილის ამერიკაში საცხოვრებლად გადასვლის შემდეგ მათ არჩი ქუჩაში სასეირნოდ არ გაუყვანიათ.



# ამერიკელმა სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ფულით ლამბორჯინი იყიდა



ამერიკელმა მეწარმემ სპორტკარი ლამბორჯინი ჰურაკანი შეიძინა იმ ფულით, რომელიც სახელმწიფომ მას კორონავირუსის პანდემიის პირობებში საწარმოების დახმარების ფარგლებში გამოუყო. თავდაპირველად მაიამის მკვიდრმა განცხადება მისთვის 13,5 მილიონი დოლარის გამოყოფაზე შეიტანა, თუმცა ბანკმა თანხმობა მხოლოდ 3,9 მილიონი დოლარის გამოყოფაზე მისცა. პროგრამის პირობების თანახმად, ბიზნესმენს შეეძლო, თანხა უკან არ დაებრუნებინა, თუ მას თავის საწარმოში დასაქმებულებისთვის ანაზღაურების გაცემას მოახმარდა.

ამერიკელმა კი ამჯობინა, 318 ათას დოლარად იტალიური სუპერკარი შეეძინა. ფედერალურმა პროკურატურამ მას საბანკო თაღლითობის ბრალდება წაუყენა. მამაკაცის ავტომობილი და მისი ყველა ანგარიში კონფისკაციას დაექვემდებარა. მას 30 წლამდე პატიმრობა და 2 მილიონი დოლარის ოდენობის ჯარიმის დაკისრება ემუქრება.

# თხა სამედიცინო ნიღბის გარეშე ყოფნისთვის დააპატიმრეს



ინდოეთის უტარ-პრადეშის ქალაქ კანპურში დააპატიმრეს თხა, რომელიც ქალაქის ცენტრში, ბეკონ-გეინჯის რაიონში, სამედიცინო დამცავი ნიღბის გარეშე დადიოდა.

დაცვის თანამშრომლებმა თხა სამედიცინო ნიღბის გარეშე შენიშნეს, დაიჭირეს და ჯიპით პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს. ცხოველის პატრონი პოლიციის განყოფილებაში მივიდა და სამართალდამცავებს მის დაბრუნებას ევედრებოდა. საბოლოოდ, პოლიციელებმა ცხოველი პატრონს დაუბრუნეს, თუმცა გააფრთხილეს, რომ შემდგომში კანონის დარღვევა დაუშვებელი იქნებოდა.

– ადამიანები ძაღლებს აიძულებენ, ატარონ სამედიცინო ნიღაბი და რატომ არ უნდა ატარებდეს მას თხა? – განაცხადა მომხდართან დაკავშირებით პოლიციის განყოფილების მორიგე ოფიცერმა საიფუდინ ბეგმა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

საზოგადოება

# ბიძინა კვერნაძე 92 წლის გახდებოდა



კომპოზიტორი ბიძინა კვერნაძე 92 წლის გახდებოდა. საოცარი მუსიკისა და არაჩვეულებრივი იუმორის ავტორი ყველა თაობის მსმენელში უდიდესი სიყვარულით სარგებლობდა.

ბიძინა კვერნაძემ მომავალ თაობებს დაუტოვა მუსიკა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იჟღერებს და თანამედროვეობასაც არ დაკარგავს.

სიღნაღში დაბადებული კომპოზიტორი ხშირად აღნიშნავდა, რომ კახეთიდან მხოლოდ როხროხა ლაპარაკი და კახური იუმორი გამოჰყვა. დედა ადრე გარდაეცვალა, რის გამოც გულჩათხრობილი გახდა, თბილისში მუცლის ტიფით დაავადდა და ძლივს გადაარჩინეს.

რაც შეეხება მუსიკას, მის ცხოვრებაში ის სრულიად შემთხვევით შეიჭრა. სახლში პიანინოზე მისი და მეცადინეობდა, თავად კი დადგებოდა ინსტრუმენტთან და თითებს აპარტყუნებდა.

როდესაც 17 წლის ჯარში უნდა გაეწვიათ, ნიჭიერთა ათწლედთან გახსნილ სკოლა-ინტერნატში მივიდა და მუსიკალურში სწავლა დაიწყო, თუმცა გული აიცრუა და თავის დანებება გადაწყვიტა, მაგრამ პედაგოგმა ტერეზა არონიშიძემ სულ ატარა.

შრომისმოყვარეობამ შედეგი გამოიღო და ბიძინა კვერნაძემ მუსიკა ისე შეიყვარა, რომ ნამდვილი შედევრები შექმნა.

„აბა ნიჭი რა არის? შრომისმოყვარეობა ნიჭიერების ნაწილია. მუზაო, რომ იტყვიან... რა მუზა, რის მუზა! უნდა იჯდე და მუშაობდე და მაშინ მოგივა მუზაც და მაშინ მიაგნებ, რასაც ეძებ. მახსოვს, როგორ დავწერე პირველი ნაწარმოები, ნიჭიერთა ათწლედს რომ ვამთავრებდი. ეს იყო რომანსი ვაჟას ლექსზე. სხვათა შორის, ზურაბ ანჯაფარიძე დამინახავდა თუ არა, ამ რომანსს მიმღეროდა, ვეხვეწებოდი, დაივიწყე-მეთქი. ამ რომანსთან კიდევ ერთი ამბავია დაკავშირებული. ზურიკოს ვიცნობდი, როგორც კარგ ბიჭს, რუსთაველზე რომ დადიოდა, კარგი ხმა რომ ჰქონდა... როცა დადგა საკითხი, რომ ვინმეს უნდა შეესრულებინა ჩემი რომანსი, მას ვთხოვე, მოსულიყო და ემღერა. კონცერტს უსმენდნენ ანტონ ბალანჩივაძე, გრიგოლ კილაძე, იონა ტუსკია. ისე შეასრულა რომანსი, რომ ატყდა ერთი ამბავი, ეს ვინ მოიყვანე, აქამდე სად იყოო! მე ვიღას ვახსოვდი, ყველა ზურიკოზე ლაპარაკობდა...

კონსერვატორია რომ დავამთავრე, ფილარმონიის სამხატვრო ხელმძღვანელმა დორიან კიტიამ დამიძახა თავისთან, მერე მიშა თუმანიშვილმა გამაფორმებინა მუსიკალურად „ჭინჭრაქა“. ამ სპექტაკლზეც დიდი ამბავი ატყდა, ყველას მოსწონდა. სპექტაკლს სპექტაკლი მოჰყვა. მუსიკალურად გავაფორმე „ამბავი სიყვარულისა“, „თეთრი ბაირაღები“ და მერე კიდევ რამდენი! ასე წავიდა საქმე წინ, – იხსენებდა ბიძინა კვერნაძე.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

სპორტი

# ევროპალიგაზე ქართული გუნდების სავარაუდო მეტოქეები გაირკვა

ევროპალიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოთამაშე ქართული კლუბების სავარაუდო მეტოქეების აბსოლუტური უმრავლესობა გარკვეულია. დარჩა მხოლოდ 2 გუნდის ვინაობა.

ევროპალიგაზე 3 ქართული კლუბი იასპარეზებს: დინამო ბათუმი, საბურთალო და ლოკომოტივი. სამივე გუნდი ასპარეზობას პირველი საკვალიფიკაციო წრიდან იწყებს და სამივე განუთესავია.

ამ ეტაპზე 94 კლუბი მონაწილეობს, შესაბამისად, 47 წყვილია (47 გუნდი განთესილია). კორონავირუსის გამო შეცვლილია ფორმატი – 2 მატჩის მაგივრად ერთი იქნება, მასპინძელს კი წილისყრა გაარკვევს.

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა 10 აგვისტოს ნიონში ჩატარდება, ხოლო მატჩები 27 აგვისტოს გაიმართება. ამ ეტაპზე 8 კლუბი წინასწარი საკვალიფიკაციო რაუნდიდან გადმოდის.

სამივე ქართულ კლუბს ძალიან დაბალი კოეფიციენტი აქვს: საბურთალოს 2.000, ბათუმის დინამოსა და ლოკომოტივს – 1.150. ასე რომ, ამ ეტაპზე განთესილ კლუბებთან მოუწევთ დაპირისპირება.

**ქართული კლუბების სავარაუდო მეტოქეები არიან:**

აპოელი (კვიპროსი); პარტიზანი (სერბეთი); მალმიო (შვედეთი); სტიაუა (რუმინეთი); ფეჰერვარი (უნგრეთი); მარიბორი (სლოვენია); ბეერ შევა (ისრაელი); რუსენბორგი (ნორვეგია); აპოლონი (კვიპროსი); შკენდია (მაკედონია); ლეხი (პოლონეთი); დინამო (ბელარუსი); ნიუ სეინტსი (უელსი); აბერდინი (შოტლანდია); ზრინსკი მოსტარი (ბოსნია); ჟალგირისი (ლიტვა); ქაირათი (ყაზახეთი); ალაშკერტი (სომხეთი); მოზერუელი (შოტლანდია); ვადუცი (ლიხტენშტაინი); კუკესი (ალბანეთი); ოლიმპია (სლოვენია); ვენტსპილსი (ლატვია); ვალეტა (მალტა); სერვეტი (შვეიცარია); ბაჩკა ტოპოლა (სერბეთი); ნომე კალიუ (ესტონეთი); სოლიგორსკი (ბელარუსი); ჰამარბი (შვედეთი); ფჰ (ისლანდია); ბოდო გლიმტი (ნორვეგია); რიტერიაი (ლიტვა); პროგრესი (ლუქსემბურგი); ცსკა სოფია (ბულგარეთი); ჰონვედი (უნგრეთი); ნიკიშიჩი (ჩერნოგორია); მაკაბი ჰაიფა (ისრაელი); ბეითარი (ისრაელი); ორდაბასი (ყაზახეთი); ნეფთჩი (აზერბაიჯანი); კეშლია (აზერბაიჯანი); სუმგაითი (აზერბაიჯანი); შემროკი (ირლანდია); ლოკომოტივი (ბულგარეთი); სლავია (ბულგარეთი), ნორვეგიის ჩემპიონი და რუმინეთის მეორეადგილოსანი.

საზოგადოება



# გია გუგუშვილი და ქეთი მატაბელი ახალ ნამუშევრებს გამოფენენ

სამხატვრო აკადემიის რექტორი გია გუგუშვილი და მისი მეუღლე ქეთი მატაბელი ახალ ნამუშევრებს გამოფენენ.

ხელოვანები ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმში წარმოადგენენ ნამუშევრებს, რომლებიც პანდემიის პერიოდში შექმნეს.

იზოლაციის კედელი – ასე ეწოდება ექსპოზიციას, რომელიც დამთვალიერებლისთვის ერთი თვის განმავლობაში იქნება გამოფენილი.

## განცხადებები

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ვმკურნალობ კარგი შედეგით სქესობრივ სისუსტესა და უძლურებას. მკურნალობაში ვიყენებ თანამედროვე საშუალებებს, ასევე სათანადო აპარატურასა და „ერექტორებს“, რომლის საშუალებითაც უძლურ მამაკაცსაც შეუძლია ჩაატაროს სრულიად ნორმალური სქესობრივი კავშირი, რომელიც არ შეიგრძნობა, არ არის მავნე, უტყუარია გამოყენებისას და შეტანილია სექსოლოგიის, ასევე უროლოგიის სახელმძღვანელოებში. ტელ: 299-95-33; 593-60-60-44 იკითხეთ ექიმი მერაბი.

# რაგბის კავშირის პრეზიდენტი გადადგა



რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გოჩა სვანიძემ თანამდებობა დატოვა. ეს მოულოდნელი იმიტომ იყო, რომ სვანიძე 2015 წლიდან ხელმძღვანელობდა ქართულ რაგბის და კიდევ ერთ არჩევნებში აპირებდა მონაწილეობას.

გადაწყვეტილების მიზეზად სარაგბო სამყაროში შექმნილი კრიზისი სახელდება, რის გამოც ჯერ ეროვნული ჩემპიონატი – დიდი 10-ც კი არ განახლებულა.

ნიაზ მამრიკიშვილი, რაგბის კავშირის საშეჯიბრებო კომიტეტის ხელმძღვანელი:

– გოჩა სვანიძემ მიიღო გადაწყვეტილება თანამდებობის დატოვების შესახებ. ვინ ჩაუდგება რაგბის კავშირს სათავეში, ამას მომავალი გვიჩვენებს. ვერ გეტყვით, აღნიშნული რის გამო მოხდა, ალბათ, საერთო კრიზისმა მიაღებინა ეს გადაწყვეტილება. ამ ყველაფერს გამკლავება სჭირდებოდა. ახლა დაინიშნება რაგბის საბჭო, რომელიც კავშირს გაუძღვება, მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნები კი, ალბათ, ნოემბერში გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ წელს რამდენიმეჯერ ჩაშლილ არჩევნებზე პრეზიდენტობის კანდიდატები ირაკლი აბუსერიძე, ბაჩო ხურციძე და გოჩა სვანიძე იყვნენ.

ახალი პრეზიდენტის არჩევამდე რაგბის კავშირს რამდენიმე კაცისგან შემდგარი საბჭო უხელმძღვანელებს.

# ეროვნული ლიგა მაყურებელს ელის



საფეხბურთო ეროვნულ ლიგაში მომდევნო ტური დღეს თელავისა და თბილისის მერანის მატჩით გაიხსნება და, შესაძლოა, გულშემატკივრები სტადიონზე უკვე ამ დროიდან ვიხილოთ.

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომ კორონავირუსთან დაკავშირებული ვითარების გამო სპეციალური პროტოკოლი შეიმუშავა, რომლის მიხედვითაც სპორტულ ღონისძიებებზე გულშემატკივრების დასწრება იქნება შესაძლებელი.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა აღნიშნულის შესახებ რამდენიმე დღის წინ ისაუბრა და გადაწყვეტილია, რომ ქომაგები სტადიონებსა თუ დარბაზებში შესვლას უახლოეს პერიოდში შეძლებენ, მანამდე კი ახალი რეგულაციების დეტალები ხდება ცნობილი.

ტრიბუნებზე დასაჯდომი ადგილის 33% უნდა იყოს დაკავებული;

გულშემატკივრისთვის განკუთვნილი სკამები შესაბამისად უნდა იყოს მონიშნული;

გულშემატკივარი ერთმანეთისგან 2-2 სკამის გამოტოვებით უნდა განთავსდეს;

შეჯიბრების მონაწილეთათვის და დამსწრეთათვის სავალდებულოა ხელის ჰიგიენა;

ხელის ჰიგიენის საშუალება არ უნდა იყოს 70%-იანი სპირტის შემცველ ხსნარზე ნაკლები;

მატჩის შემდგომ უნდა ჩატარდეს დასაჯდომი ადგილების დეზინფექცია;

უნდა იყოს გაკრული აბრები ყველასთვის, რომ არ ჩამოართვან ხელი ერთმანეთს და დაიცვან დისტანცია;

გულშემატკივრები სტადიონზე შესვლამდე თერმოსკრინინგს გაივლიან.

**31 ივლისი**

**თელავი-მერანი**

**21:00 თელავი. კავკასიონი არენა**

ეს გუნდები დებიუტანტები არიან, ერთად ამოვიდნენ ეროვნულ ლიგაში. გასულ სეზონში მერანი უკეთ გამოიყურებოდა, ლიგა 2-ის „ჩემპიონიც" გახდა და ელიტაში თამაშის უფლება პირდაპირ მოიპოვა. თელავმა კი „იწვალა" და იგივე გზა შემოვლით, ფლეიოფით გაიარა.

თუმცა წელს თელავი უკეთ გამოიყურება და ლიდერთა სიახლოვეს ტრიალებს, მერანის ამოცანა კი ელიტაში ადგილის შენარჩუნებაა. ეს ურთულესი ამოცანა იქნება იმ სათამაშო ხარისხის გათვალისწინებით, რომელსაც გუნდი აქამდე აჩვენებს.

მოკლედ, ამ მატჩში ფავორიტი თელავია, მით უფრო, თუ მაყურებლები დაუშვეს...

**1 აგვისტო**

**დინამო (თბ)-ჩიხურა**

**20:30 თბილისი. დინამო არენა**

დინამო არასტაბილურად თამაშობს – 2 მატჩს კარგად ჩაატარებს, მერე ამდენივე შეხვედრა ჩავარდნა აქვს და ისევ მოუმატებს. ამ გრაფიკით ჩიხურასთან კარგი მატჩის ჩატარება უწევთ, თანაც მეტოქე სუსტია. ყოველ შემთხვევაში, აქამდე ჩატარებული მატჩებით დინამო უპირობო ფავორიტია...

**ლოკომოტივი-ტორპედო**

**21:30 თბილისი. მიხეილ მესხი 2**

პანდემიამდე ლოკომოტივი ჩემპიონობის ერთ-ერთ პრეტენდენტადაც კი დაასახელეს, მაგრამ იძულებითი პაუზის შემდეგ კლუბის საქმეები კარგად ვერ მიდის და 5 ტურში სულ 3 ქულა აიღო. გუნდს თუ რამეზე პრეტენზია აქვს, ტორპედოსთან აუცილებლად უნდა გაიმარჯვოს.

თავის მხრივ, წასაგებად არც ტორპედო ჩავა თბილისში – რიონისპირელებისთვის ახლა ყველა ქულას ფასი აქვს, რადგან გუნდი ისეთი „ლონიერი" არ არის, როგორიც წინა წლებში და ახლა მხოლოდ ელიტაში დარჩენისთვის იბრძვის...

**2 აგვისტო**

**საბურთალო-დილა**

**17:30 თბილისი. მიხეილ მესხი**

ყველასთვის მოულოდნელად, ჩემპიონატს დილა ლიდერობს. გორელებმა უკვე მოასწრეს 2 კონკურენტ გუნდთან თამაში და უკმაყოფილო არ უნდა იყვნენ. პირველი წრის ბოლოსწინა ტურში კიდევ ერთი გამოცდა ელით და, თუ წარმატებით გაართვეს თავი, ეკვატორს პირველი ადგილით გადაკვეთენ.

საბურთალოს თამაშის ხარისხი ისეთი ვერ არის, როგორიც გვინდა. ამასთან, გუნდს გამოაკლდა უდავო ლიდერი გიორგი კოხრეიძე, რომელიც ტრავმის გამო სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშებს. თუმცა გუნდი ახერხებს და ლიდერებში რჩება. მეტიც, მოგების შემთხვევაში დილას დაეწევა...

**დინამო (ბთ)-სამტრედია**

**21:00 ბათუმი. ანგისას ბაზა**

ზღვისპირელები დილასთან ერთად რჩებიან გუნდად, რომელსაც ჯერ წაგება არ აქვს. ალბათ, ასეც იქნება ამ ტურის შემდეგაც, მაგრამ არწაგება ფრესაც ნიშნავს, რაც გია გეგუჩაძის გუნდის ამოცანებში არ შედის. საჩემპიონოდ შემართულ დინამოს წაფორხილება, შესაძლოა, ძვირად დაუჯდეს.

ბათუმში ჯიბეებში ხელჩაწყობილი არ ჩავა სამტრედია, რომელსაც შეუძლია სიურპრიზების შეთავაზება. კახა კაჭარავას გუნდი ნორმალურ შთაბეჭდილებას ტოვებს და შეუძლია ლიდერების „გამწარება".

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დილა | 7 | 4 | 3 | 0 | 13-4 | 15 |
| 2.დინამო (თბ) | 7 | 3 | 3 | 1 | 13-3 | 12 |
| 3.საბურთალო | 7 | 3 | 3 | 1 | 8-5 | 12 |
| 4.დინამო (ბთ) | 7 | 2 | 5 | 0 | 10-5 | 11 |
| 5.თელავი | 7 | 2 | 4 | 1 | 8-5 | 10 |
| 6.ლოკომოტივი | 7 | 2 | 3 | 2 | 9-12 | 9 |
| 7.სამტრედია | 7 | 2 | 2 | 3 | 6-12 | 8 |
| 8.ჩიხურა | 7 | 1 | 2 | 4 | 7-11 | 5 |
| 9.ტორპედო | 7 | 1 | 2 | 4 | 4-11 | 5 |
| 10.მერანი (თბ) | 7 | 0 | 3 | 4 | 2-12 | 3 |

# ბადრი კვარაცხელია: „ხვიჩა ევროპულ გუნდებს სურთ"



ხვიჩა კვარაცხელია ყაზანის რუბინში შარშან ზაფხულში მოსკოვის ლოკომოტივიდან გადავიდა. 19 წლის ფეხბურთელმა რუსეთის პრემიერლიგის 27 მატჩში 3 გოლი და 2 საგოლე პასი მიითვალა, თუმცა გუნდში საუკეთესო იყო და ამას ყველა საფეხბურთო ექსპერტი ადასტურებს.

მეტიც, ტრანსფერმარკეტმა ხვიჩას სატრანსფერო ფასი 2 მილიონიდან 4.5 მილიონამდე გაზარდა და ახლა ქართველ ფეხბურთელთა შორის მხოლოდ გიორგი ჩაკვეტაძესა (6.7) და საბა კვირკველიას (5.0) ჩამორჩება.

ხვიჩას მამამ, ბადრი კვარაცხელიამ, რომელიც წარსულში ასევე ფეხბურთელი გახლდათ, თავისი შვილის გარშემო შექმნილი ვითარების შესახებ რუსულ მედიასთან ისაუბრა. როგორც უფროსი კვარაცხელია ამბობს, ბოლოდროინდელი პროგრესიდან გამომდინარე, ხვიჩას მიმართ უცხოური კლუბების ინტერესი საგრძნობლადაა გაზრდილი.

**ბადრი კვარაცხელია:**

– თვითონ მეუბნება, რომ ძალიან მოუმატა. უბრალოდ არ ხდება, რომ ფეხბურთელი 1 თვის განმავლობაში სრულიად შეიცვალოს და გაცილებით კარგად ათამაშდეს. მადლობა ლეონიდ სლუცკის, რომელიც კარგი მწვრთნელია და ხვიჩას მეტი თავისუფლება და გარისკვის საშუალება მისცა. ჩემს შვილს მასთან მუშაობის გაგრძელება სურს. ხვიჩამ მითხრა, რომ სხვა გუნდში არ უნდა და სლუცკისთან ერთად კიდევ უფრო მოუმატებს. რა პრობლემაა, იყოს ასე. ამით ყველაფერი ნათქვამია.

მცველების მოტყუებას, მეტოქესთან დისტანციის გრძნობას ვერ ისწავლი. ეს ღმერთისგანაა, დაბადებიდან. ყველაფერი თავიდანაა ჩადებული და, უბრალოდ, მისი დახვეწაა საჭირო. ვიმეორებ, ამ დროს მწვრთნელის ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია. თუკი ის გზღუდავს, არასდროს არაფერი გამოგივა. ცხადია, რომ ხვიჩას სხვა მოვალეობებიც აქვს და პირველ რიგში გუნდზე მუშაობს, მაგრამ მეტოქის საჯარიმოსთან გარისკვის უფლებაც აქვს. მას ძალიან გაუმართლა, რომ რუბინში ასეთი მწვრთნელი ჰყავს.

ხვიჩას ყველა კუთხით სჭირდება მომატება და არც გაჩერდება. მას მუშაობა უყვარს და, თუკი ასე გააგრძელა, ზღვარს ვერ ვხედავ, ყველაფრის მიღწევა შეუძლია. სხვა გუნდებზე ნაკლებად ფიქრობს და უფრო საკუთარ თავზეა კონცენტრირებული. ფიზიკური მომზადების კუთხით უნდა მოუმატოს და გამოცდილებაც მიიღოს. სხვა აზრები არ გვაქვს. მის აგენტთან ერთად ამასწინათაც ვისაუბრეთ და შევთანხმდით, რომ სადმე წასვლა ნაადრევია. დიახ, ევროპული კლუბებიდან ინტერესი არის, თუმცა არ ვჩქარობთ. ახლა ყაზანში კარგი მწვრთნელია, კარგი შემადგენლობაა შეკრებილი და სავარაუდოა, რომ ახალ სეზონში გუნდს გარკვეული მიზნებიც ექნება.

# შედეგები

**29 ივლისი**

**ფეხბურთი**

**იტალია. სერია ა**

ლაციო-ბრეშა .................................. 2:0
სამპდორია-მილანი .......................... 1:4
სასუოლო-ჯენოა .............................. 5:0
უდინეზე-ლეჩე .................................. 1:2
ვერონა-სპალი .................................. 3:0
კალიარი-იუვენტუსი ........................ 2:0
ფიორენტინა-ბოლონია ..................... 4:0
ტორინო-რომა .................................. 2:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 37 | 26 | 5 | 6 | 75-40 | 83 |
| 2.ინტერი | 37 | 23 | 10 | 4 | 79-36 | 79 |
| 3.ატალანტა | 37 | 23 | 9 | 5 | 98-46 | 78 |
| 4.ლაციო | 37 | 24 | 6 | 7 | 78-39 | 78 |
| 5.რომა | 37 | 20 | 7 | 10 | 74-50 | 67 |
| 6.მილანი | 37 | 18 | 9 | 10 | 60-46 | 63 |
| 7.ნაპოლი | 37 | 17 | 8 | 12 | 58-49 | 59 |
| 8.სასუოლო | 37 | 14 | 9 | 14 | 69-62 | 51 |
| 9.ვერონა | 37 | 12 | 13 | 12 | 47-48 | 49 |
| 10.ფიორენტინა | 37 | 11 | 13 | 13 | 48-47 | 46 |
| 11.პარმა | 37 | 13 | 7 | 17 | 52-54 | 46 |
| 12.ბოლონია | 37 | 12 | 10 | 15 | 51-64 | 46 |
| 13.კალიარი | 37 | 11 | 12 | 14 | 52-53 | 45 |
| 14.უდინეზე | 37 | 11 | 9 | 17 | 36-51 | 42 |
| 15.სამპდორია | 37 | 12 | 5 | 20 | 47-64 | 41 |
| 16.ტორინო | 37 | 11 | 6 | 20 | 45-67 | 39 |
| 17.ჯენოა | 37 | 9 | 9 | 19 | 44-73 | 36 |
| 18.ლეჩე | 37 | 9 | 8 | 20 | 49-81 | 35 |
| 19.ბრეშა | 37 | 6 | 6 | 25 | 34-78 | 24 |
| 20.სპალი | 37 | 5 | 5 | 27 | 26-76 | 20 |

**თურქეთი. თასი**

**ფინალი**

ტრაბზონი-ალანია .......................... 2:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

**ფლეი ოფი**

კოლოსი-მარიუპოლი .............. 1:0(დდ)

**დანია. სუპერლიგა**

ორხუსი-ოდენსე .............................. 2:1

**ნორვეგია. ელიტსერია**

ალესუნდი-სტარტი ......................... 3:2
კრისტიანსუნდი-სანდერფიორდი ... 3:1
მიონდალენი-ოდ გრელანდი ........... 0:2
სარპსბორგი-ჰაუგესუნდი .............. 0:0
სტრომგოდსეტი-ბრანი ................... 3:1
მიოლდე-ვალერენგა ...................... 4:1

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. საზეინკლო იარაღი; 2. ლუდის დასაყენებელი ხის კასრი ფშავ-ხევსურეთში; 3. ხვიარა მცენარეებით გაფორმებული საჩრდილობლები პარკებში; 4. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი; 5. პერუს დედაქალაქი; 6. ყნოსვის უნარის დაქვეითება, დაკარგვა; 9. თანამედროვე ქართველი მოქანდაკე; 10. სამედიატორო სასამართლო; 11. სიბერით გამოწვეულ დაავადებათა შემსწავლელი და მკურნალობის მეთოდების დამდგენი მედიცინის დარგი; 14. გერმანული კოსმეტიკური ფირმა; 16. საათების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 18. ქიმიური ელემენტი, მსუბუქი ლითონი; 20. „ბარსელონის" დამფუძნებელი; 23. ჯიხვები ჯოგი; 24. ზღვისპირა კურორტი ბულგარეთში; 25. კუთხე საქართველოში; 26. აეროპორტი თელ-ავივში.

**თარაზულად**: 7. გადამფრენი ფრინველების შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 8. ბუნებრივი აირის უდიდესი საბადო ირანში; 12. შხამიანი გველი; 13. ფინეთის პარლამენტი; 15. საინფორმაციო საშუალება; 17. ესპანელი მხატვარი; 19. ხურდა ფული აშშ-ში; 21. აეროპორტი პარიზში; 22. ტაილანდის ძველი სახელწოდება; 27. ძველი, იშვიათი ნივთების შემფასებელი მოვაჭრე; 28. ძველებური ქართული ქალაქური ცეკვა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჰიპოლოგია; 2. ქორწილი; 3. გინესი; 4. კრიჟი; 5. ალიევი; 11. ხუცესი; 12. კანაპე; 14. მწდე; 16. ორაგული; 17. თარხანი; 19. ლექსიკა; 21. თქორი; 22. ტოკაი.

**თარაზულად:** 6. სილიკოზი; 7. გურიელი; 8. ჟოკეი; 9. პლანკი; 10. სესხი; 13. რიტმი; 15. კონტეინერი; 18. ვიმპელი; 20. არვე; 21. თუნუქი; 23. დისლოკაცია; 24. ნადური.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. შაირი; 2. ყველი; 3. ანორაკი; 4. დოლი; 5. კედი; 6. ატაკამა; 9. საგინაშვილი; 10. აშპაშხანა; 11. შუშაბანდი; 14. ლექსი; 16. ჩეიზი; 18. ნიამორი; 20. მარტენი; 23. ფიდე; 24. ფორდი; 25. ფრეზა; 26. ბოტი.

**თარაზულად:** 7. ონტოლოგია; 8. რეზერვატი; 12. მარში; 13. მუყაო; 15. ელისო; 17. ქონდაქარი; 19. ხავსი; 21. საუნა; 22. ოდერი; 27. ტრუბადური; 28. რესტორანი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

31 ივლისი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0771

ევრო — 3.6156

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.9922

100 რუსული რუბლი — 4.2455

## ამინდის პროგნოზი 31 ივლისისთვის




## ლუის სუარესს მუხლი ისევ აწუხებს



ბარსელონის ურუგვაელ ფორვარდ ლუის სუარესს მუხლის ტრავმა ისევ აწუხებს და, შესაძლოა, მან ნაპოლისთან შეხვედრა გამოტოვოს, თუმცა ტრავმა სერიოზული არ არის. სუარესმა მუხლზე ოპერაცია იანვარში გაიკეთა, რის გამოც მას რამდენიმე თვის გამოტოვება მოუხდა.

ბოლო პერიოდში ურუგვაელი ფორვარდი საკმაოდ კარგ ფორმაში იყო და მან რამდენიმე ლამაზი გოლიც გაიტანა.

## მანჩესტერ იუნაიტედმა ჯეიდენ სანჩოს ტრანსფერი თითქმის დაასრულა



მანჩესტერ იუნაიტედმა დორტმუნდის ბორუსიის შემტევ ჯეიდენ სანჩოს ტრანსფერი თითქმის დაასრულა და მხოლოდ ფორმალური დეტალებია დარჩენილი.

სანჩო იუნაიტედთან 4-წლიან კონტრაქტს გააფორმებს და მის ტრანსფერში მანჩესტერი 132 მილიონ ევროს გადაიხდის, რაც სანჩოს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ძვირადღირებულ ფეხბურთელად აქცევს.

სანჩოს შეძენა მანჩესტერ სიტისაც სურდა, მაგრამ მას თანაქალაქელებმა აჯობეს.

## ლიშარლისონი ევერტონის დატოვებას არ აპირებს



ევერტონის ბრაზილიელი ფორვარდი ლიშარლისონი ევერტონიდან წასვლას არ აპირებს, თუმცა, თუ რომელიმე გრანდი დაუძახებს, შესაძლოა, გადაწყვეტილება შეცვალოს კიდეც:

– ევერტონში ძალიან ბედნიერი ვარ და მინდა, რომ ამ გუნდში კიდევ ბევრი სეზონი გავატარო, მაგრამ ფეხბურთში წინასწარ ყველაფერს ვერ გათვლი. თუ რომელიმე გრანდმა გამოიჩინა ჩემ მიმართ ინტერესი, მაშინ, შეიძლება, ყველაფერი შეიცვალოს, მაგრამ ჯერჯერობით ევერტონში ვარ.

## ბარსელონა-ნაპოლის შეხვედრა, შესაძლოა, პორტუგალიაში ჩატარდეს

ბარსელონისა და ნაპოლის შეხვედრის ჩატარების ადგილი ჯერჯერობით უცნობია, რადგან ესპანეთში კორონავირუსთან დაკავშირებით სიტუაცია ისევ გაუარესდა, ამიტომ, შესაძლოა, ეს მატჩი პორტუგალიაში ჩატარდეს.

საბოლოო გადაწყვეტილებას უეფა რამდენიმე დღეში მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ პირველი შეხვედრა ამ გუნდებს შორის ნეაპოლში 1:1 დასრულდა, განმეორებითი კი 8 აგვისტოს უნდა გაიმართოს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## იუმორი

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– ლამარა, სასეირნოდ მიდიხარ და პისტოლეტი რატომ მიგაქვს?

– სექსუალური მანიაკი რომ გადამეყაროს...

– შენ დანახვაზე, ერთადერთი, რაც მას მოუნდება, გაქცევა იქნება.

– სწორედ მაგიტომაც მიმაქვს პისტოლეტი.

●●●

შვილი ზღაპრის მოსმენის შემდეგ დედას ეუბნება:

– დედიკო, მეც მინდა, რომ ხუთი ცოლი მყავდეს! ერთი საჭმელს მოამზადებს, ერთი სახლს დაალაგებს, ერთი მიმღერებს...

– და ერთიც დასაძინებლად დაგაწვენს, – უპასუხა დედამ.

– არა, დედიკო. მე ყოველთვის შენთან დავიძინებ!

– ღმერთმა დაგლოცოს შვილო! მაგრამ შენ ხუთ ცოლთან ვინღა დაიძინებს?

– მამიკოსთან დაიძინონ!

გულაჩუყებულმა მამამ გამოსძახა:

– ღმერთმა გადღეგრძელოს, შვილო!

●●●

ორი ქალი საუბრობს. ერთი მეორეს უყვება:

– გუშინ ჩემთან მეზობელი მამაკაცი შემოვიდა, სალათი მოვუმზადე, კარტოფილი შევუწვი, ძეხვი დავუჭერი, ღვინო დავუსხი. მოკლედ, კარგად გავუმასპინძლდი.

– და მადლობა თუ გადაგიხადა?

– რა თქმა უნდა, მე ჯერ ასეთი დიდი მადლობა არ მინახია!!!

●●●

ციხის საკანში ახლად მიყვანილ პატიმარს ეკითხებიან:

– რისთვის დაგიჭირეს?

– გაციებისთვის.

– როგორ თუ გაციებისთვის?

– ცხვირი დავაცემინე და დარაჯს გაეღვიძა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## დათო გველესიანს ქურდები შეეჩვივნენ



ანსამბლ რუსთავის ერთ-ერთ წევრს, მომღერალ დათო გველესიანს, ქურდები შეეჩვივნენ:

– გუშინწინ მანქანას მიძარცვავდნენ, მეზობელს რომ არ მოესწრო. წუხელ ღია ფანჯრიდან სიგარეტის კოლოფი მომპარეს. ფაშისტი ვარ, თქვე არასწორებო?

## გიორგი მასხულია ია ფარულავას, გიორგი ნაზღაიძესა და ნინო ადამაშვილს სასამართლოთი ემუქრება



დიზაინერი გიორგი მასხულია მსახიობ ია ფარულავას, მოდელ გიორგი ნაზღაიძესა და „მის მკერდის" გამარჯვებულ ნინო ადამაშვილს სასამართლოთი ემუქრება.

ამის მიზეზი გიორგის მიმართ მათი დაუსრულებელი სიტყვიერი თავდასხმებია, რის გამოც გიორგის დედა საავადმყოფოში აღმოჩნდა:

– არაფრით დავთმობ არაფერს, ამის გამო ბოლო წერტილამდე ვიბრძოლებ, რომ ნინო ადამაშვილი, გიორგი ნაზღაიძე და ია ფარულავა სამართლებრივად დაისაჯონ.

დედაჩემის გამო ცოცხლად დავწვავ ნებისმიერს. არ გავჩერდები, სანამ სამართალს არ მივაღწევ. დავიღალე უკვე, მე ჩემით ვშრომობ და ვქმნი, რა გინდათ, რა შემჭამეთ, ვერ გავიგე!

## გია კორკოტაშვილი ზურა დოიჯაშვილისთვის სახლის წამრთმევი ბანკის გასაჯაროებას გეგმავს



გია კორკოტაშვილი მომღერალ ზურა დოიჯაშვილისთვის სახლის წამრთმევი ბანკის გასაჯაროებას გეგმავს:

– თბილისელი ბიჭი, რომელიც საქართველოში ყველას უყვარდა, დღეს ისრაელში რეანიმაციაში წევს. ღმერთმა უშველოს!

არ იკითხავთ, რატომ? ერთ-ერთმა ბანკმა, დავადგენ ზუსტად და გავასაჯაროებ, სახლი წაართვა და ასე ნერვებდაგლეჯილი გაეცალა საქართველოს!

ვისაც მევახშეობით ოჯახები გყავთ გამოყრილი სახლებიდან, ბანკირებო და მიკროსაფინანსოებო, თქვენ გეწიოთ მათი ბედი, სულ რომ ჩემი ძმა იყოს. ეგეთი ცხოვრების დედა ავატირე!

თქვენ უნდა მოგანდოთ მომავალი?

ადამიანების გარჩევა როდის უნდა ისწავლოთ, ხალხო, როდის?

## თემო რცხილაძემ ალბომის პრეზენტაცია ესპანეთში გამართა



მომღერალმა და არაერთი ცნობილი სიმღერის ავტორმა თემო რცხილაძემ თავისი ახალი ალბომის პრეზენტაცია ესპანეთში, კურორტ მარბელლაზე გამართა.

ამჟამად ხელოვანი თავის ახალ ალბომს მისი გულშემატკივრებისთვის გაათამაშებს:

– შემოგვიერთდით იუთუბზე. ივლისის ბოლო რიცხვებში გათამაშდება ჩემი სიდი „ქამ ბექ თუ მი" (დაბრუნდი სევ ჩემთან), რომლის პრეზენტაცია ესპანეთის ულამაზეს კურორტ მარბელლაზე შედგა.

## მზია კვირიკაშვილის გარდაცვალებიდან 10 წელი გავიდა

სიცილის დედოფლის მზია კვირიკაშვილის გარდაცვალებიდან 10 წელი გავიდა. იუმორისტი, რომელიც ყველა თაობის მაყურებელს ძალიან უყვარდა, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.

მზია კვირიკაშვილი მისმა მეგობარმა მამუკა ლომაშვილმა გაიხსენა:

– ვერც გარდაცვალების მერე დავაფასეთ სათანადოდ! საქართველოს სიცილის დედოფალი – გარდაცვალებიდან 10 წელი გავიდა.

მაპატიე, მეგობარო, რომ ბევრი რამე ვერ შევძელი შენთვის, ვერ შევძელი შენი სოლოკონცერტის გაკეთება, მომაკვდავს მაინც რომ გინდოდა... ბევრჯერ დაგწყვიტეს გული, ბევრჯერ უსამართლოდ მოგექცნენ, უამრავჯერ გამოგიყენეს... კიდევ უამრავი წელი გავა და მზია კვირიკაშვილისნაირი მსახიობი ესტრადას ვერ ეყოლება. მისი ნიჭი და შესაძლებლობები დღემდე არ არის შეფასებული... ერთადერთი, რაც მიიღო, ხალხის სიყვარულია, რომელსაც არანაკლებ კი არა და, უფრო მეტად უყვარდა თავისი მაყურებელი და არა მარტო. მე ბედნიერი ვარ, რომ ასეთი მეგობარი მყავდა... იმედია, საქართველოში იქნება ისეთი ხელისუფლება, რომელიც პატივს სცემს და დააფასებს მის და არა მარტო მის შემოქმედებასა და ღვაწლს.

თბილი, მზრუნველი, უნიჭიერესი, სამაგალითო მეგობარი და ადამიანი, უზომოდ შეყვარებული თავის ქვეყანასა და ხალხზე! ნათელში იყავი, ჩემო მეგობარო!



**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 31 ივლისისთვის



**ვერძი** – წინააღმდეგობრივი დღეა. დილით თქვენი გეგმების რეალიზებას ადვილად შეძლებთ. საღამოს არასასურველი ტენდენციები მძლავრობს. **კურო** – დიდი ყურადღება მიაქციეთ ჯანსაღ კვებას. იყავით წინდახედული და დაპირება შეასრულეთ. **ტყუპები** – ჯანმრთელობის მდგომარეობა მაინცდამაინც სახარბიელო არ არის. დღეს ყოველგვარი კომერციული გარიგება გამორიცხეთ. **კირჩხიბი** – წვრილმანი საოჯახო პრობლემების მოგვარება მოგიწევთ. ბავშვებს მეტი ყურადღება დაუთმეთ. **ლომი** – წარმატება მხოლოდ თქვენს სიმშვიდესა და თავშეკავებაზეა დამოკიდებული. იყავით მამაცი. **ქალწული** – საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა იდეალურად გამოგივათ. ერიდეთ კამათს ახლობელთან. **სასწორი** – წარმატება გელით შემოქმედებით სფეროში მუშაობისას. საღამო მყუდრო გარემოში გაატარეთ. **ღრიანკალი** – გარშემომყოფებთან ჰარმონიული ურთიერთობა გაქვთ. დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ სტუმრების გამასპინძლება. **მშვილდოსანი** – ილუზიებს არ აჰყვეთ. დაპირებების გაცემისგან თავი შეიკავეთ. **თხის რქა** – გლობალურ მიზნებს ნუ დაისახავთ. დღეს მხოლოდ წვრილმანი საქმეებით დაკავდით. მოვლენები მოულოდნელად იცვლება. **მერწყული** – ფინანსებს გაუფრთხილდით. დიდია გაუთვალისწინებელი ხარჯების ალბათობა. **თევზები** – ნებისმიერ საქმეს შემოქმედებითად მიუდექით. ენერგიას ფუჭად ნუ დახარჯავთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ქართველი პიანისტი მამაკაცი; 2. ძვირფასი სარეწაო თევზი; 3. პატარა მაღაზიასახელოსნო იტალიაში; 4. ესპანური სპორტული გაზეთი; 5. ლომების ჯოგი; 11. სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში; 12. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 14. ისტორიული ციხე-სიმაგრე თბილისში; 16. ცნობების გავრცელება რაიმეს შესახებ მისი პოპულარიზაციის მიზნით; 17. ვაჭრობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 19. ქვის ხანის უკანასკნელი პერიოდი; 21. რადიოაქტიური ქიმიური ელემენტი; 22. ზღვისპირა კურორტი აჭარაში.

**თარაზულად**: 6. მდინარე აშშ-სა და მექსიკაში; 7. ელექტრონული ძრავის უძრავი ნაწილი; 8. მავნებელი მწერი; 9. ქართველ ქალთა ცეკვა; 10. მთავარი ქუჩა ტოკიოში; 13. ჩეხი მხედართმთავარი, ეროვნული გმირი; 15. გერმანული ლუდი; 18. მუნჯი კინოს კომიკოსი; 20. უბანი თბილისში; 21. ქართველი ფსიქოლოგი, აკადემიკოსი; 23. ქართული ხალხური ზღაპარი; 24. სამურაების მეთაური.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

